

დავით ბერიაშვილი

მოუთვინიერებელი
კონკურენტი

დავით ბერიაშვილი

მოუთვინიერებელი
კონკურენტი

თბილისი
2015

ISBN 978-9941-0-8054-8

© დ. ბერიაშვილი, 2015

კარგია, როცა ბავშვობის მეგობარი გესტუმრება და ორთავე ხუმრობის ხასიათზე ხართ.

ჩვენც ასე ვიყავით. ვისხედით, ვჭამდით, ვსვამდით, ვიცინოდით, მე აქ, ის – იქ, არა, იქ კი არა – იქ, არა, არა, იქ, უფრო ზუსტად – იქ, აი, იმ ფანჯრის რაფაზე, თუმცა, იმისას რას გაიგებ, ხან აქ ზის ხოლმე, ხან – იქ. მაშინაც ასე, ხან სავარძელში იჯდა, ხანაც, უფრო ხშირად კი იქ, ფანჯრის რაფაზე. სანახევროდ იჯდა, გვერდულად, ერთი ფეხი იატაკზე დაეყრდნო, მეორე მოეკეცა.

მოკლედ, ვისხედით, ვჭამდით, ვსვამდით, ვიცინოდით.

- მაშ, არ მეთანხმები, არა?! – ღიმილით მეუბნება და შამპანურის ჭიქას ფანჯრის რაფაზე დგამს.

- ნეტაი შენ, მეტი საქმე რომ არ გაქვს. – ასევე ღიმილით ვპასუხობ მე და სავარძელში ნებივრად ვიზმორები.

- მაქვს, როგორ არ მაქვს, აბა, რისთვის მივდივარ ინგლისში ექვსი თვით?

- მერე, წადი და მე თავი დამანებე.

- ცოტა რომ წაიფანტაზიორო, რამე დაგიშავდება? – მეკითხება.

- აზრი? – მეც ვეკითხები.

- დაგარწმუნებ, რომ არც ისეთი ვარდის სურნელმოფენილია აქ ყველაფერი, შენ რომ გგონია.

- სადაც მიდიხარ, იქ ხომ არის ყველაფერი ვარდის სურნელმოფენილი?!

- რომ არის, ამიტომაც მივდივარ, და აქ რომ არ არის, ამიტომაც მინდა შენი დარწმუნება. – მეუბნება და ქუჩაში ვიღაც გამველეს ფანჯრიდან ხელს უწევს.

- ესე იგი, აქაურობა არ მოგწონს, არა? – ვეკითხები გამომცდელად.

- შენ მეცოდები, აქ მეცოდები, აქ. – მპასუხობს და შარვალს იფერთხავს.

- ჰო, ცოტათი ცოლო კი ვარ, მაგრამ, მაინც ნუ დარდობ, უარესებიც გადამიტანია.

- ბევრს ნულარ მივედ-მოვედებით და ამ დღეებში მიდი, აი, იქ, იმ მისამართზე, გაზეთში რომ ამოვიკითხეთ.

- დავუშვათ მივედი, მერე რა?! – ფეხზე ვდგები და საჩვენებელ თითს ჰაერში ვატრიალებ.

- მიხვალ, ნახავ ხელმძღვანელობას და ეტყვი, წავიკითხე თქვენი განცხადება გაზეთში და მსურს თქვენს ორგანიზაციაში დამსაქმოთ... ოღონდ თითი ჩამოუშვი დაბლა, ეგრე არ დარჩე... გასაგებია, რომ შენ ახლა გაზეთიდან დასაქმება სულაც არ გეპიტნავენა და არც გჭირდება, მაგრამ, უნდა გახსოვდეს, ეს ხომ ექსპერიმენტი, ექსპერიმენტი, რომლის შესახებაც ვიცით მხოლოდ მე და შენ.

- მერე, მერე, გააგრძელე, - ვეუბნები მე და ისევ სავარძელში ვჯდები.

- ვიცოდი, რომ შამპანურის თანხლებით, ეგ საქმე უეჭველი დაგაინტერესებდა.

ამჯერად ორივეს გულიანად გვეცინება. მერე მე ისევ ფეხზე ვდგები, მასთან ახლოს მივიღივარ და შამპანურის ჭიქებს ერთმანეთს ვუჭახუნებთ.

მე სწრაფად და ბოლომდე ვცლი, ის კი ყლუპებით სვამს, ძალიან ნელა, დინჯად, აუღელვებლად. მაინც ეტყობა, რომ ევროპაში ნაცხოვრები და იქაურ ტრადიციებზე გადასული კაცია.

- და რაც მთავარია, არავითარ შემთხვევაში, შენებური ხუმრობები და იუმორი, კაცი რომ ვერ გაიგებს, ხუმრობ თუ სერიოზულად ლაპარაკობ, არ უნდა წამოგცდეს. ისინი უნდა დაარწმუნო, რომ შენ არა ბედნიერი და ხუმრობის ხასიათზე მოსული ადამიანი, არამედ ამ ცხოვრებისაგან დეპრესიამდე მისული, ნაადრევად დაბერებული პიროვნება ხარ, პიროვნება, რომელსაც ამ უსამართლო ქვეყანაში საკუთარი ადგილი ვერ გიპოვნია და ეძებ, ეძებ, ეძებ...

- რას ვეძებ, საკუთარ ადგილს, სამსახურს თუ ბედნიერებას? – ლაზღანდარულ ტონში ვეკითხები მე.

- ეგ ყველაფერი ერთია. მთავარია, რომ შენ ხელმოცარული ადამიანის როლი უნდა მოირგო, იმ ადამიანის, რომელიც ხავსს ეჭიდება და ყველაფერს ეძებს, რათა თავი გადაირჩინოს. მოკლედ, შენ ეძებ ყველაფერს, მათ შორის კეთილ ადამიანებსაც, რომლებიც გაგიგებენ, გვერდში დაგიდგებიან და ამ ჯოჯოხეთური ლაბირინთებიდან გზას გაგიკვალავენ.

- შენ გგონია, ისეთი კეთილი ადამიანების მონახვა, გვერდში რომ დაგიდგებიან, შეუძლებელია? – ისევე ვეკითხები.

- კეთილი ადამიანების მონახვა, შეუძლებელი არ არის, უბრალოდ, ძნელია, ძალიან ძნელი. ის კი არა, შეიძლება, კაცს მთელი ცხოვრებაც დაგჭირდეს, ისეთი კეთილი ადამიანების მოსანახად, გვერდში რომ ამოგიდგებიან და ცხოვრებას გაგიოლებენ... და როცა ასეთ კეთილ ადამიანებს მონახავ, მერე უკვე მიხვდები, რომ სამწუხაროდ, ცხოვრებაც დასრულებულა. სიბერის ხელჯოხზე დაყრდნობილსა და საიქიოს გზაზე მიმავალს კი, არა კეთილი ადამიანები, არამედ სულიერი მოძღვარიღა გჭირდება, რათა მარადიული სასუფევლისკენ მიმავალი გზა ერთი-ორად გაგიმარტივდეს.

- მარტო ბუტყერბროდს რომ ეტანები, შოკოლადს რატომ არ იღებ, კბილი ხომ არ გტკივა? – ვინტერესდები მე და შოკოლადის ყუთისკენ ვიხედები.

- არა, რა კბილი, რის კბილი, შაქარი მაქვს, შაქარი.

- რაო, დიაბეტი გაქვს?

- ჰო, დიაბეტი მაქვს.

- რათა, კაცო, რათა?!

- რა ვიცი, აბა, რამდენჯერაც კარგი რამე ვთქვი, იმდენი მიძახეს შენს პირს შაქარიო, რომ ექიმებმა სისხლში შაქრის დიაბეტი აღმომიჩინეს, თანაც ასეთ გაფურჩქვნის ასაკში. მაგრამ ახლა მთავარი ეგ არ არის.

- მთავარი ის არის, რომ ინგლისში მშვიდობით ჩახვიდე და მერე იქიდან მშვიდობით დაბრუნდე. – ვამხნევებ მე.

- ... და კიდევ, შენ ჩემი თხოვნა შეასრულო და ამ ექსპერიმენტზე დამთანხმდე.

- კარგი, კარგი, ოღონდ ნერვიულობაზე შაქარმა არ აგიწიოს და, ჩათვალე, რომ თანახმა ვარ.

- ესეც ასე, შეიძლება ითქვას, რომ ექსპერიმენტის პირველი ნაწილი წარმატებით დაგვირგვინდა, ანუ შენ თანახმა ხარ. – მეუბნება და სიგარეტს უკიდებს.

- მოიცა, მოიცა, დიაბეტის გამო შოკოლადს არ მიირთმევ, სამაგიეროდ სიგარეტს ეწევი და შამპანურზეც არ ამბობ უარს. ეს როგორ ავხსნა? – ვეკითხები ღიმილით და ისევ ვჯდები.

- ეგ თავადაც ვერ ამიხსნია და შენ როგორღა ამოგახსნევინო? – მეუბნება და სიგარეტის იისფერ კვამლს დამცინავად აყოლებს თვალს.

- ისევ ექსპერიმენტს მიუბრუნდეთ და გულახდილად მითხარი, რას მოგცემს შენ, ეს ჩვენი, ეგრეთწოდებული ექსპერიმენტი? – ვამბობ გაოცებული.

- მინდა კიდევ ერთხელ დავრწმუნდე.

- დარწმუნდე, რაში?

- იმაში, რომ აქაურობისთვის ტყუილად არ მიმიგორებია ქვა და საკუთარი ნავსაყუდელი, აქედან მოშორებით, ტყუილად არ აღმომიჩენია.

- გეყო, გეყო, ძალიან ნუ გაუტყე. - ვეუბნები და კიდევ ერთ ჭიქა შამპანურს ვისხამ.

- მე ახლა წავედი, ხვალ ამ დროს, სადამოს შვიდი საათისთვის უკვე ლონდონში ვიქნები. რაც შეეხება აეროპორტში გაცილებებსა და ასეთ რაღაცებს, როგორც ყოველთვის, არც ამჯერად გინდა. აბა, შენ იცი, არ მოიწყინო, ექვსი თვე მალე გაირბენს და გაზაფხულის ბოლოსთვის ჩამოვალ, მანამდე კი ახალ სამსახურში მიღწეული შენი წარმატებების შესახებ, საქმის კურსში ჩამაყენე ხოლმე, თუ, რა თქმა უნდა, ასეთი წარმატებები საერთოდ გექნა.

მერე ფეხზე ვდგებით, კიდევ ერთ ჭიქა შამპანურს ვსვამთ, მე ისევ სწრაფად, ის ისევ ნელ-ნელა და ეზოში გავდივართ. სანამ ტაქსს გააჩერებს, მემშვიდობება და, დღეს უკვე მერამდენედ ვეკითხება:

- ესე იგი, შენ ამბობდი, რომ ნიჭი ყველგან გაიკვლევს გზასო, არა?

- ვამბობდი და, თუ გინდა, ახლაც იგივეს გაგიმეორებ. რა, ასე არ არის?

- ბევრგან გაიკვლევს, ოღონდ ყველგან ვერა.

- ბევრი არ უნდა დაგეგლია, მეგობარო, ხომ ხედავ, შენი დაღვევა შენივე განწყობაზე აისახება. – ღიმილით ვეუბნები და თვალს ვუკრავ.

- ვარდი ბევრგან გაიხარებს, მაგრამ რა პირობებიც არ უნდა შეუქმნა მას, რა წყლითაც არ უნდა რწყა და რა სხივებითაც არ უნდა უმკურნალო, უჭაერო სივრცეში მას ვერ გაახარებ, ვერა. ნიჭი კი ვარდია, ვარდი, რომელსაც შესაბამის პირობებში ყოფნა სჭირდება.

ამის მეტს აღარაფერს ვამბობთ, ერთმანეთს ვემშვიდობებით და ის ტაქსს აჩერებს, ჯდება და მიდის...

ნოემბრის სუსხიანი საღამო იყო, მათა მწვერვალები, მოახლოებული ზამთრის გრძელი დამეებისა და თოვლის ქათქათა სუდარისთვის რომ ემზადებიან ხოლმე, აი, ისეთი.

თვე პირველი

- ვინმე ხელმძღვანელ პირთან მინდა ლაპარაკი, - ვეუბნები კომპიუტერში თავნარგულ გოგონას.

- რა საკითხზე? – მეკითხება გოგონა და გამომცდელად მათვალთვლებს.

- მაგას თავად ხელმძღვანელ პირს ვეტყვი.

- მე აღმასრულებელი დირექტორის თანაშემწე გახლავართ,

- მეუბნება გოგონა და ფეხზე დგება.

- თავად აღმასრულებელი დირექტორი სად არის?

- მალე მოვა. შეგიძლიათ აქვე, მისაღებში, ან დერეფანში დაელოდოთ.

- გარეთ დაველოდები, - ვამბობ და ჯერ ოთახიდან, შემდეგ შენობიდან გამოვდივარ. შენობა ორსართულიანია, თეთრად შეღებილი და კარგად მოვლილი. შენობიდან არც თუ ისე მოშორებით, აღმართი რომ იწყება, პატარა სკვერია, შადრევნითა და ორიოდ გრძელი სკამით. სკვერში არავის ჭაჭანება არ ისმის, თუმცა ასეთ უქურ ამინდში, ნეტავი, რომელი ჭკუადმყოფელი გამოვა სკვერში დასაჯდომად?! მე სხვა რა გზა მაქვს, შევდივარ სკვერში, ვჯდები და ველოდები. ხალხი კი შენობაში შედის და გამოდის.

- ეს ხომ არ არის აღმასრულებელი დირექტორი? – ვფიქრობ ერთ მამაკაცზე (რომელიც შენობაში შედის) და წამოდგომას ვაპირებ, მაგრამ... – ეგ რომ არ იყოს, მერე ისევ უკან ამობრუნება მომიწევს და, ასე, წინ და უკან ხომ არ ვივლი? ამიტომ, ჯობია, რამოდენიმე წუთით ისევ აქ დაველოდო და მერე შევიდე შენობაში.

ასეც ვიქცევი. ვზივარ და ველოდები. ეზო ავტომანქანებით ივსება. ხალხი ისევ შედის შენობაში და გამოდის.

- მე მგონი, უკვე დროა, შევიდე.

ფეხზე ვდგები და შენობაში შევდივარ. ავდივარ მეორე სართულზე, მივუყვები გრძელ დერეფანს და, აი, უკვე მისაღებ ოთახში ვარ. თანაშემწე ისევ კომპიუტერშია თავჩარბული. ჩემი შესვლის შემდეგ, ფეხზე დგება და მომმართავს:

- რომ იცოდეთ, ბატონი ჯონდი სტუმრებს ელოდება.

- ჯერ ეს მითხარით, ჯონდი ვინ არის? – ვეკითხები გოგონას.

- ჩვენი აღმასრულებელი დირექტორია, ბატონი ჯონდი. როგორ, თქვენ, ბატონ ჯონდის არ იცნობთ, მისი სახელიც არ იცით და მასთან შეხვედრა კი გინდათ? – გაოცებას ვატყობ მას.

- შემიშვით და გაირდებით, რომ მის სახელს არასოდეს დაგივიწყებ.

გოგონა გამომცდელად მიყურებს, ალბათ ფიქრობს, ხომ არ დამცინისო?! მერე, თითქოს, რაღაცას იხსენებს, მოჭუტული თვალებით მაკვირდება და ძალიან საქმიანი ადამიანის იერით მეუბნება:

- როგორც გითხარით, ბატონი ჯონდი სტუმრებს ელოდება, მაგრამ, მე მაინც ვკითხავ, იქნებ მიგიღოთ.

- კეთილი, ძალიან დამავალებთ!

გოგონა დირექტორის კაბინეტში შედის და მალევე გამოდის.

- შებრძანდით, ბატონი ჯონდი გელოდებათ.

- დიდი მადლობა! – ვეუბნები მე და კაბინეტში შევდივარ.

ოთახში სამნი არიან, არადა, ჯობდა, მარტოს მივედე, მაგრამ რა გაეწყობა. ერთი მამაკაცი, რომელიც დაახლოებით ჩემი ასაკის, ან შეიძლება ცოტა პატარაც იყოს, ოთახის შუაგულში რომ ყავისფერი მაგიდა დგას, იმ მაგიდასთან ზის.

- ალბათ, დირექტორი ეს უნდა იყოს – ვასკვნი მე.

მეორე მამაკაცი, რომელიც, ალბათ საშუალო ასაკისა იქნება, დირექტორის მაგიდის წინ რომ სკამია, იმაზე ზის და გადათეთრებულ სახეზე ხელს ისვამს. ხოლო მესამე, აშკარად ასაკოვანი მამაკაცი ფანჯარასთან დგას და არემარეს გაჰყურებს. მე საერთო საღამოს ვიძლევი და დირექტორის მაგიდასთან მივდივარ.

- რა საკითხზე ხართ? – მომმართავს დირექტორი და, თან ფურცლებში იქექება.

- გაზეთში განცხადება წავიკითხე, რომ თქვენ ვაკანსიები გაქვთ...

- ესე იგი, დასაქმების თაობაზე ბრძანდებით?

- დიახ.

- დაბრძანდით! - მეუბნება და ხელს სკამისკენ იშვერს.

მეორე მამაკაცი დგება და კედელთან მიდგმულ სავარძელში ჯდება. დირექტორი კვლავ ფურცლებში ქექვას აგრძელებს. მერე, მარცხენა ხელით, მაგიდიდან მობილურს იღებს, მაგრამ ისევ უკან, მაგიდაზე დებს... უჯრიდან საქაღალდე ამოაქვს, ისევ ფურცლებში იქექება... მობილურს ისევ იღებს და რეკავს... ვიღაცასთან ლაპარაკობს და თან მარჯვენა ხელით ფურცლებში იქექება... მე მანიშნებს, ერთი წუთით მომიცადეთო, მე თავს ვუქნევ.

- მობილური რომ არ არსებობდეს, ნეტავი, ეს ხალხი, რა საშუალებით მიიღებდა საქმიან იერს? – ვფიქრობ ჩემთვის და მაგიდაზე დაგდებული, რაღაც ჟურნალის დათვალიერებას ვიწყებ.

აღმასრულებელი დირექტორი კი ისევ საქმიანი იერით ქაღალდებში იქექება და თან მობილურზე ლაპარაკობს. შიგადაშიგ თავს უკმაყოფილოდ იქნევს და კალმით ფურცლებზე რაღაც მინაწერს აკეთებს, ზოგან ხელსაც აწერს.

მე უხალისოდ ვათვალიერებ პოლიგრაფიულად მაღალ დონეზე დაბეჭდილ ჟურნალს და ერთ ადგილას ვკითხულობ, რომ კომპანია, რომელსაც ეს ჟურნალი ეკუთვნის, ერთ-ერთი წარმატებული კომპანიაა აღმოსავლეთ ევროპის მასშტაბით, და არ უნდა გაგიკვირდეთ, რომ მომავლის საქართველოში, ამ კომპანიის მიერ გამოშვებული ჯამ-ჭურჭკელი, ყველა ოჯახისათვის ისეთივე აუცილებელი ატრიბუტი გახდეს, როგორც, მაგალითად, ტელევიზორი, ან კომპიუტერია.

ისე, ჯამ-ჭურჭელი და ტელევიზორ-კომპიუტერი, რაღაც უნიჭო შედარება კი არის, მაგრამ რა გაეწეობა, ეს ხომ ბიზნესია... ბიზნესი, სადაც მთავარი რეკლამაა, რეკლამას კი ხანდახან საზღვრები ისევე არ გააჩნია, როგორც, მაგალითად, სისულელეს.

- ძალიან ბევრი საქმე მაქვს და ყურადღება ამიტომ ვერ მოგაქცეით. – ფიქრებში წასულს მესმის აღმასრულებელი დირექტორის ხმა.

- სამაგიეროდ, დრო უქმედ არ დამიკარგავს და ამ ჟურნალის გადათვალისწინება მოვასწარი. – ვპასუხობ მე.

- და რას იტყვით, როგორი შთაბეჭდილება მოახდინა თქვენზე მაგ ჟურნალმა?

- პოლიგრაფიული თვალსაზრისით საუცხოოა.

- პოლიგრაფიული თვალსაზრისით გასაგებია, მაგრამ სხვა მხრივ? – მეკითხება ჩემი მასპინძელი.

- შინაარსობრივი თვალსაზრისით თუ შევაფასებთ, აშკარად ეტყობა, რომ ეს ჟურნალი, რომელიდაც უწყების, ჯგუფის ან კომპანიის ინტერესების გამტარებელი უნდა იყოს.

- რომ იცოდეთ, ეგ ჩვენი კომპანიის ჟურნალია, რომლის ყოველი ნომრის გამოცემაშიც უდიდესი თანხებია ჩადებული.

- ეჭვიც არ მეპარება, რომ ამ ჟურნალის გამოცემაში უდიდესი თანხები იქნება ჩადებული და საწინააღმდეგო აზრი, არც გამივლია გულში.

- კრიტიკას არასოდეს გავურბივართ, მაგრამ ყოველთვის გვირჩევნია, ისეთმა ადამიანებმა გვაკრიტიკონ, ამ საქმეში, ანუ ჟურნალ-გაზეთების სპეციფიკაში, პატარა წარმოდგენა მაინც რომ აქვთ. ასე რომ, არ მიწყინოთ და თქვენს შენიშვნას ვერ მივიღებთ. ისე, რა პროფესიის ხართ? – მეკითხება აღმასრულებელი დირექტორი და სავარძელში მჯდარ მეორე მამაკაცს თვალს უკრავს.

- ჟურნალისტი! – ვპასუხობ მე და ახლა უკვე მე ვუკრავ თვალს, ოღონდ აღმასრულებელ დირექტორს.

- ჟურნალისტი! ჟურნალისტი! – ორჯერ იმეორებს, – მერე რა, რომ ჟურნალისტი ხართ?! საერთოდ, ჟურნალისტობაზე ბევრი დებს თავს, მაგრამ...

აქ ჩერდება და წინადადებას აღარ ამთავრებს.

- რა, მაგრამ? – ვცდილობ დაზუსტებას.

- თქვენ რისთვის მოხვედით? – მეკითხება დაბნეული სახით.

- აკი გითხარით, ერთ-ერთ გაზეთში წავიკითხე, რომ ვაკანსიები გქონიათ.

- ეგ რომელი თვის გაზეთში იყო?

- დაახლოებით ორი კვირის წინანდელში. – ვამბობ მე.

- საქმე იმაშია, რომ მოვლენები ძალიან სწრაფად იცვლება და ის ვაკანსიები, რაც თქვენ ნახეთ, ახლა აღარ გვაქვს.

ო, რა ერთფეროვანი და შემზარავია ასეთი სიტყვების მოსმენა. თუმცა, “აღარ გვაქვს,” “ვერ დაგეხმარებით,” “არ შეგვიძლია,” და ამის მსგავს ტერმინებს, მე ხომ შეჩვეული ვარ და აღმასრულებელ დირექტორთან, ეს შეხვედრაც, შემიძლია ჩემი ცხოვრების მორიგ უიღბლობად ჩავთვალო, ქუდი დავიხურო და წამოვიდე, მაგრამ ცხოვრებაც ხომ, სწორედ ამიტომ არის საინტერესო და ამოუცნობი, რომ ნებისმიერ დროს, შეიძლება, რაღაც გამონათების მომსწრე შეიქმნას ადამიანი, თუნდაც დროებითი გამონათება იყოს ეს.

და იმ წუთას, სწორედ ამგვარი გამონათების მომსწრე გავხდი.

- იცით, რა არის? – მეუბნება ასაკოვანი მამაკაცი, რომელიც აქამდე ზურგით იდგა და ფანჯარაში იცქირებოდა, - ჩვენს კომპანიაში გარკვეული რეორგანიზაციები ხდება და ვაკანსიებიც, ამიტომ, ახლა აღარ გავგანჩია, მაგრამ, გპირდებით, რომ რამდენიმე კვირაში აუცილებლად გვექნება. ეგეც რომ არა, თქვენ ჟურნალისტი ბრძანებულხართ და ჩვენი უწყების ჟურნალში და გაზეთში საკუთარ გამოცდილებას თუ გავვიზიარებთ, დიდად მადლობელი დაგრჩებით. მე იმ ჟურნალზე გელაპარაკებით, თქვენ რომ ახლახან კითხულობდით. მე მგონი, თანახმა უნდა იყოთ. დარჩით ჩვენთან, შეეგუეთ აქაურ ატმოსფეროს, უკეთ გავიცნოთ ერთმანეთი, იქნებ, ვინმე საერთო ნაცნობიც აღმოგვანდეს, ისეთი საერთო ნაცნობი, თქვენც რომ პატივს სცემდეთ და ჩვენც. აბა, მართლა ასე, ქუჩიდან მოსულს ხომ ვერ გენდობით და აგიყვანთ სამსახურში? მოკლედ, თუ დაგვეხმარებით ჩვენი უწყების სახელით გამომაგალი ჟურნალისა და გაზეთის აწყობაში, სანაცვლოდ მცირე, მაგრამ, რაღაც ჰონორარი მაინც გექნებათ... ოღონდ ჯერ შტატში ჩასმას და ხელფასს ნუ მოგვთხოვთ, თუმცა, როგორც გითხარით, გარკვეული

ჰონორარი აუცილებლად გექნებათ. ჟურნალისტი ხართ და, ალბათ, გეცოდინებათ, ჰონორარი რასაც ნიშნავს.

- უკაცრავად, თქვენ... – ვიწყებ მე, მაგრამ სიტყვას მაწყვეტინებს.

- მე? მე ამ კომპანიის გენერალური დირექტორი გახლავართ.

- ხოლო თქვენ აღმასრულებელი დირექტორი, არა? – მივმართავ ჩემ წინ მჯდარ მამაკაცს.

- მართალი ხართ, მე აღმასრულებელი დირექტორი გახლავართ, ეს გენერალური დირექტორია, რომელიც, სხვათა შორის, ბიბა ჩემი, მამაჩემის ძმა.

- და რამდენ ხანს გაგრძელდება, ჩემი ასე, უშტატოდ ყოფნა? – ვეკითხები გენერალურ დირექტორს.

- წინასწარ ძნელია მაგის თქმა, მაგრამ, ჯერ ხომ უნდა დაგაკვირდეთ? არ მიწყინოთ და იქნებ, სულაც, ყაჩაღი ხართ და რაიმე ცუდი ზრახვები გიტრიალებთ გულში, მე ხომ არ ვიცი?

- ბატონო ჩემო, თუ ამდენს ფრთხილობთ, მაშინ, გაზეთში ვაკანსიებს რაღაზე აქვეყნებთ?

ასეთი შეკითხვა, როგორც ჩანს, აშკარად მოულოდნელია, თანაც, ეტყობა, იმასაც ფიქრობს, ნამეტანი ხომ არ გაუუშინაურდით?!

- აღარ ვაქვეყნებთ, ბატონო, ვაკანსიებს, აღარ, აზრი არ აქვს და იმიტომ. პროფესიონალი გაზეთიდან დაძახილით არ მოვა, ჩვენ კი პროფესიონალები გვჭირდება.

კიდევ რამდენიმე წუთით ვსაუბრობთ, მეკითხებიან და მეც ვპასუხობ. როგორც ვატყობ, გენერალური დირექტორი უფრო მეტ ინტერესს იჩენს ჩემდამი. აღმასრულებელი დირექტორი კი, მხოლოდ მოვალეობის მოხდის მიზნით თუ მეკითხება რამეს. ალბათ, ამასაც იმიტომ აკეთებს, რომ მერე არ ვიფიქრო, ეს რა უფუნქციო აღმასრულებელი დირექტორი ჰყოლიათო.

მეკითხებიან ყველაფერს, თითქმის ყველაფერს, რისი შეკითხვაც ასეთ დროს შეიძლება, და არ შეიძლება.

მაშ ასე:

- მანქანა თუ გყავთ?
- არ მყავს.
- არადა, ჯობდა გყოლოდათ.

- რატომ, მძღოლობას მთავაზობთ? ისე, მართვის მოწმობა მაქვს და ტარებაც ვიცი.

- არა, მძღოლობას არ გთავაზობთ, უბრალოდ, მანქანის ყოლა აუცილებელია, დაგჭირდებოდათ, გავლა, გამოვლა და რამე. ჩვენთან ყველა თანამშრომელს ჰყავს მანქანა და თქვენც რომ გყოლოდათ, კარგი იქნებოდა.

- ნამდვილად კარგი იქნებოდა, მაგრამ...

- სად ცხოვრობთ, თბილისში, ჰო?

- დიას, თბილისში.

- ეროვნება, ქართველი?

- ქართველი!

- რომელი ენები იცით? – მეკითხება აღმასრულებელი დირექტორი.

- ინგლისური და რუსული.

- ქართული, არა? – ამას ისევ აღმასრულებელი დირექტორი მეკითხება, ოღონდ ამჯერად, მართლაც გაოცებული და შეწუხებული სახით.

- თქვენ როგორ ფიქრობთ, ქართული არ მეცოდინება?

- მაშინ უნდა მითხრათ.

- მაშინ, ჩემი ეროვნება არ უნდა გამემხილა და ახლა, ამ წუთას ქართულადაც არ უნდა ვსაუბრობდეთ.

- იცით, რა არის? წესია ასეთი. ანკეტა არასოდეს შეგივისიათ?

- მერედა, მე ხომ ახლა ანკეტას არ ვავსებ? ჩვენ მხოლოდ კითხვა-პასუხის რეჟიმში ვსაუბრობთ, ცოცხალი საუბარი კი მშრალი ანკეტური მონაცემების შევსებისაგან დიდად განსხვავდება.

- ჟურნალისტი ვარო, ბრძანეთ და, იქნებ გვითხრათ, თქვენი აზრით, როგორი უნდა იყოს ჟურნალისტი? – ამას მეორე მამაკაცი მეკითხება, აქამდე თავისთვის რომ იჯდა და გადათეთრებულ სახეზე, ხელს ისვამდა.

- მე შემძლია გითხრათ, როგორი არ უნდა იყოს ჟურნალისტი და დანარჩენი თავად დაასკვნით.

- ბრძანეთ, როგორი არ უნდა იყოს ჟურნალისტი?

- ხელისუფლების მეხოტბე.

სამივე აშკარად გაოცებულ სახეს იღებს.

- მხოლოდ ხელისუფლების? – ინტერესდება გენერალური დირექტორი.

- და არა მარტო ხელისუფლების. – ვამატებ მე.
- არ გეთანხმებით, თუმცა, ახლა ამას, რაიმე გადამწყვეტი მნიშვნელობა ნამდვილად არა აქვს. თქვენ ის გვითხარით, საგაზეთო სტატიების გარდა, კიდევ რაიმე თუ დაგიწერიათ? – ამას ისევ გენერალური დირექტორი მეკითხება.
- მოთხრობები, ნოველები და რომანი.
- გამოგიქვეყნებიათ კიდევ?
- რა თქმა უნდა.
- მერე, მე რომ არაფერი მსენია, თქვენი ნაშრომების შესახებ? – ამბობს აღმასრულებელი დირექტორი, ანუ ბატონი ჯონდი.
- ბატონო ჩემო, უკაცრავად კი ვარ, მაგრამ თანამედროვე ქართველი მწერლებიდან, იქნებ ერთი ადამიანი მაინც დამისახელოთ, რომლის ნაწარმოებებსაც დიდი გატაცებით კითხულობთ ხოლმე? – ვეკითხები მე.
- რა თანამედროვე ქართული მწერლობა, რის თანამედროვე ქართული მწერლობა, სადღა არიან, ან ვინ არიან თანამედროვე ქართველი მწერლები, მე მათ ნაწარმოებებს რომ ვკითხულობდე?!
- მაშინ, უბრალოდ, მხოლოდ ერთი, ჩვენი დროის ქართველი მწერალი მაინც დამისახელოთ, რომლის, თუნდაც ერთი ნაწარმოები მაინც ბოლომდე წაგიკითხავთ და არ მოგწონებიათ?
- აღარ გყავს მწერლები, გესმით თქვენ ჩემი, აღარ გყავს მწერლები, მორჩა და გათავდა.
- ამიტომაც ვერ კითხულობთ, არა?
- დიახ, ამიტომაც ვერ ვკითხულობ.
- მაშინ რაღაზე გიკვირთ, რომ ჩემი ნაწერების შესახებ არაფერი გსმენიათ? როგორც ჩანს, თქვენ მთლიანად თანამედროვე ქართულ მწერლობას არ აღიარებთ და მე ვინდა ვარ, რომ ჩემს ნაწარმოებებს იცნობდეთ? ისე, იმაზე, რაც არ წაგიკითხავთ და არ იცნობთ, როგორ შეიძლება თქვათ, რომ არ მომწონსო?!
- დაწინარდი, - ამშვიდებს საკუთარ ძმის შვილს გენერალური დირექტორი და მერე მე მომმართავს: – წიგნებს თუ აქვეყნებთ, იქიდან გარკვეული შემოსავალიც გექნებათ და მაშინ სამსახურს რაღაზე ექებთ?

- ბატონო ჩემო, თქვენ ფიქრობთ, რომ დღევანდელ დროში, შესაძლებელია მწერალმა მხოლოდ გამოცემული წიგნებით იცხოვროს?

- არ ვიცი და ამიტომაც გეკითხებით.

- შესაძლებელი რომ იყოს, მე ახლა აქ, თქვენთან ნამდვილად არ მოვიდოდი.

- თქვენ მწერალი ხართ? – ამას ისევ აღმასრულებელი დირექტორი მეკითხება.

- დიახ, მწერალი ვარ.

- აბა, ჟურნალისტი. ბოლოს და ბოლოს, გაგვაგებინეთ, ვინ ხართ თქვენ, ჟურნალისტი თუ მწერალი?

- ჟურნალისტობა პროფესიაა, ხოლო მწერლობა, ჯერჯერობით პროფესიად არ არის აღიარებული. ასე რომ...

ძნელია, როდესაც ადამიანის თვალეში სიცარიელეს ხედავ და ამ დროს, ის ადამიანი იმ მწერლებსა და მწერლობას იწუნებს, რომელთა ნაწარმოებებიდან ერთიც არ წაუკითხავს. მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე მრავლად მქონია ასეთი კატეგორიის ადამიანებთან ურთიერთობა, მაგრამ არასოდეს არ ყოფილა, რომ ეს ადამიანები ჩემი ხელმძღვანელები, ან თუნდაც პოტენციური ხელმძღვანელები ყოფილიყვნენ. ახლა კი, როგორც ვხედავ, აქ, ამ კაბინეტში, ჩემ წინ ზის პიროვნება, რომლის თვალეშიც, რაღაც გამანადგურებელ სიცარიელეს ვხედავ, და ყველაზე გულსატკენი მაინც ის არის, რომ სულაც არ არის გამორიცხული, ეს ადამიანი, ჩემი ხელმძღვანელი გახდეს.

ეჰ, რას ვიზამ, ცხოვრებაში ამაზე უარესებიც გადამიტანია და იმედია, როგორმე ამასაც გადავიტან. ისე, იქნებ მე ვცდები და ამ ადამიანის შეფასებაში ნაადრევ დასკვნებს ვაკეთებ? სომ შეიძლება, ბატონი ჯონდი, რომელიც დღეს, ერთი შეხედვით, ჩემზე არასახარბიელო შთაბეჭდილებას ტოვებს, სინამდვილეში ბრწყინვალე მენეჯერი და ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებული საუცხოო პიროვნება გამოდგეს? გამორიცხული არაფერია, მით უმეტეს, რომ ჩემს წარსულ ცხოვრებას თუ გადავაგლებ თვალს, ასეთი ადამიანებიც მრავლად შემხვედრიან, ადამიანები, რომელთა მიმართაც თავიდან არც თუ დიდი სიმპათიით განვმსჭვალულვარ, მაგრამ შემდგომ ცხოვრებას დაუნახვებია,

რომ ჩემი თავდაპირველი შეხედულებები მცდარზე მცდარი, უფრო მეტიც, სასაცილოც კი ყოფილა.

მოკლედ, სხვა რა დამრჩენია, გარდა იმისა, რომ მოვლენების სასიკეთოდ განვითარების მოლოდინში ვიყო და იმის იმედი ვიქონიო, რომ ბატონი ჯონდი არა მარტო ბრწყინვალე მენეჯერი, არამედ დიდებული ადამიანიც გამოდგება, ხოლო ის თავდაპირველი შეხედულებები, რომლებიც ამ ადამიანზე შემექმნა, სრულიად უსაფუძვლო იქნება.

გენერალური დირექტორი კი კვლავაც აგრძელებს ჩემს დაკითხვას, თანაც ყოველივე ამას ისეთი სახითა და განწყობით აკეთებს, თითქოს მაგრძნობინებს, მადლობა მითხარი, რომ შენთვის ვიცლი, თორემ ხომ ხედავ, შენ გარდა, კიდევ უამრავი საქმე მაქვსო.

ის საშუალო ასაკის მამაკაცი, ძირითადად ისევ დუმს და გაფითრებულ სახეზე კვლავ ხელს ისვამს. ჯონდი ვეღარ უძლებს მის ტანჯვას, შუშის დოქიდან შუშისავე ჭიქაში წყალს უსხამს, აწვდის და ეუბნება:

- რა გჭირს, ბიჭო, აჰა, დალიე, იქნებ მოგეშვას.

ისიც ფეხზე დგება, ბარბაცით მოდის მაგიდასთან, სვამს და მერე ისევ ბარბაცით ოთახიდან გადის. ოთახში სამნი ვრჩებით; მე, ჯონდი და ბიძამისი, ანუ გენერალური დირექტორი.

- წუხელის სად იყავით? – ეკითხება ჯონდის ბიძამისი.

- სად ვიქნებოდით, თუ არა მცხეთაში?!

- მერე ეგ რას ჰგავს, ყველა ამ დღეში იყავით?

- ზოგს ადრე გადაგვიარა, ზოგს – გვიან, - სიცილით ამბობს ჯონდი.

- თავს ნუ იღუპავთ და ცოტა გონზე მოდით, თორემ სულ მე არ გეყოლებით.

- აუუუ, კარგი რა, ახლა შენებურად ნუ დაიწყე. – ამბობს უკმაყოფილო ჯონდი.

უცებ, ორივე დუმდება და ჩემკენ იხედება. ალბათ ახლა ახსენდებათ, რომ მე მათთვის სრულიად უცხო ადამიანი ვარ. მეც სხვა რა დამრჩენია, უხერხულობის განსამუხტავად, თავს ისევ ჟურნალში ვრგავ და ვკითხულობ... ვკითხულობ იმ ადგილს, სადაც კომპანიის თანამშრომლებზე წერია, რომ თითოეული მათგანი ჭეშმარიტად პროფესიონალი და

ადამიანური ღირსებით შემკული პიროვნება ყოფილა. წესიერება და პროფესიონალიზმი, აი, ეს არის ამ კომპანიაში დასაქმებულთა უმთავრესი სლოგანი.

- ხომ არ მოწვევთ? – მეუბნება ჯონდი და სიგარეტის კოლოფს მაგიდაზე, ჩემ წინ დებს.

- გმადლობთ, არ ვეწევი, უფრო ზუსტად რომ გითხრათ, აღარ ვეწევი. – ვეუბნები მე.

- დიდი ხანია?

- საკმაოდ დიდი ხანია, ცხრა წელი იქნება.

- პატიოსანი კაცი ჩანხართ და ერთი ეს მითხარით, სიგარეტს როგორ უნდა დაანებოს ადამიანმა თავი? წიწაკა უნდა წაუსვას, ტუჩები უნდა მოიჭრას თუ რა უნდა ქნას... რითი უნდა დაანებოს თავი, რითი? – მეკითხება გენერალური დირექტორი.

- ტვინით! – ვპასუხობ მე, - და არა მარტო სიგარეტს, არამედ ნებისმიერ მანვე ჩვევას ტვინით უნდა დაანებოს ადამიანმა თავი.

- აი, იმას, მაგალითად, ტვინი საერთოდ აღარ უმუშავეს – რაღაც გულმოკლული ამბობს გენერალური დირექტორი და კარისკენ თითს იშვერს. ვხვდები, რომ იმ სახეგადათეთრებულ მამაკაცს გულისხმობს, ახლახან, ოთახიდან რომ გავიდა.

ბიძამისის შესაპასუხებლად, ჯონდი რაღაცის თქმას აპირებს, მაგრამ მე ვაწყვეტინებ: - მაშ, როგორ მოვიქცეთ, ჩემ შესახებ, რა გადაწყვიტეთ და რას მიპირებთ?

- ხვალ მობრძანდით, გაეცანით აქაურ სიტუაციას და იმ საქმეს მიხედეთ, რომელზეც უკვე გელაპარაკეთ. როგორც უკვე გითხარით, ჩვენს კომპანიას საკუთარი ჟურნალი და გაზეთი გააჩნია, ჰოდა, იმედია გვერდში დაგვიდგებით. სწორედ თქვენისთანა ენერგიული ხალხი გვჭირდება... ენერგიული, განათლებული და რაც მთავარია, პროფესიონალი.

- კეთილი და პატიოსანი, ხვალ დილით, ამავე დროს გეახლებით. – ვამბობ მე, მერე ფეხზე ვდგები, ორივეს ვემშვიდობები და გასასვლელისკენ მივდივარ, მაგრამ ზედ კართან მისულს მესმის გენერალური დირექტორის ხმა:

- თქვენ მაინც არ გითქვამთ, როგორი უნდა იყოს ჟურნალისტი?

- ჩემნაირი, - ვპასუხობ მე და ოთახიდან ღიმილით გავდივარ.

ნოემბერმა კიდევ ერთხელ გაიბრძოლა. ხეებზე, რაც კი ფოთლები იყო შემორჩენილი, ყველა ერთიანად გააყვითლა, დაბლა ჩამოყარა და მიწაზე გაშალა. ასე დასრულდა სუსხიანი შემოდგომის უკანასკნელი თვე და კიდევ უფრო სუსხიანი ზამთარიც მოგვადგა კარს.

თვე მეორე

რა გინდა ადამიანო, რას დაძრწიხარ აღმა-დაღმა, დაეტიე შენს ქერქში და შეიგნე, რომ დღეს ექსპერიმენტების დრო ნამდვილად არ არის. რა გაღელვებს და რა გაშფოთებს, ამ ქვეყანაში ყველა თავის გზას მაინც იპოვის, შენ ამაზე ნუ დარდობ, ნუ. არც პატიოსნება დაიჩაგრება ისე უღმერთოდ, შენ რომ გგონია. ბოლოს და ბოლოს, ისე ნუ გამოგყავს, თითქოს მარტო შენ იყო მშვიდობის თეთრი მტრედი, ხოლო სხვა ყველა გულქვა არსება ყოფილიყოს. ნუ აპყლიხარ ყურით მოთრეულ ჭორებს, რადგან შენც ამ ქვეყანაში ცხოვრობ, აქაური ჰაერით საზრდობ და სხვაზე არანაკლებ ხედავ ყველაფერს, რაც ჩვენ გარშემო ხდება. მაშ, აქ ნიჭი არ ფასდებაო, არა? ეშმაკივით შეგიჩნდა შენივე ბავშვობის მეგობარი და შენც გულუბრყვილოდ დაიჯერე ყოველივე თანაც ისე დაიჯერე, რომ მისი გავლენის ქვეშ მოექცევი.

ამ ასაკისა და ასეთი ცხოვრებისეული გამოცდილების მქონე ადამიანს კი, ასეთი რამ ნამდვილად არ გეკადრება.

მაინც რითი ხარ უკმაყოფილო, რითი? ხომ ხედავ, ერთი გაიბრძოლე და სრულიად უცხო ადამიანებისგან მოწონება დაიმსახურე, თანაც ისეთი მოწონება, რომ შენთვის უცნობი კომპანიის უმნიშვნელოვანეს საქმეში ჩაგროთეს. მართალია, ჯერ ანაზღაურება (ანუ ის, რაც ყველაზე მთავარია) არ დაუნიშნავთ შენთვის, მაგრამ ხომ იცი, რომ ყველაფერს დრო უნდა. ცოტა ხანი მოითმინე და მატერიალური დაფასებაც იქნება. აბა, აქ, ამ ქვეყანაში, მუქთა ვირად ვინ გაუმეტებიათ, რომ შენ გაგიმეტონ? ასეა, ცოტა მოითმინე, გაუშინაურდი იმ ხალხს, კარგად გააცანი შენი თავი და საკუთარ შესაძლებლობებს რომ ბოლომდე დაანახვევ, ყოველ

მიზეზგარეშე დაგიფასებენ. ეჭვიც არ შეგეპაროს, რომ ასე იქნება, ისინი ადამიანები არიან და იმიტომ. ადამიანი კი ცხოველისგან სწორედ იმით განსხვავდება, რომ მას თანადგომისა და ანალიზის უნარი აქვს. მართალია, თავისი ადამიანური მინუსები ამ ხალხსაც გააჩნია, მაგრამ ახლა მთავარი ეგ არ არის, და არც შენი საქმეა სხვათა ნაკლოვანებებში ქექვა. ჟურნალისტი კი ხარ, მაგრამ ამ შემთხვევაში მთავარი არა პროფესია, არამედ ადამიანობაა. ხომ ხედავ, დახმარების ხელი გამოგიწოდეს... მორჩა და გათავდა, ამის მეტი, შენ სხვა არაფერი არ უნდა გაინტერესებდეს, რადგან შენს ცხოვრებაში ახალი ეტაპი იწყება და ყოველგვარი ეჭვებიც აქ მთავრდება. იყავი აქტიური, ზომიერად ცნობისმოყვარე, მაგრამ მომთმენი და ყველაფერი კარგად იქნება.

დამიჯერე, კარგად იქნება.

გასაგებია, რომ უკვე მეორე თვე დაიწყო, რაც უცხო გარემოში იმყოფები, მაგრამ ყველაფერი არ აღგაფრთოვანებს, ხანდახან ისეც გეჩვენება ხოლმე, თითქოს ეს შენი ადგილი და გარემოცვა არ არის. მერწმუნე, თავიდან ყველას მსგავსი განწყობა ეუფლება. შენ კი, რა, ჯერ ერთ თვეს გადააბიჯე, ანუ მეორე თვის აღმართს შეუდექი და უკვე ვარსკვლავებს გინდა შესწვდეთ? ასე არ გამოვა, არა. ხომ იცი, რომ ყოველივე ცრუ ილუზიებია და ცხოვრებას ისე მარტივად, მხოლოდ შენ რომ გსურს, ვერ ააწყობ, ვერა.

იყავი იმით კმაყოფილი, რაც საწყის ეტაპზე გამოგიჩნდა.

და რაც მთავარია, გჯეროდეს, რომ წინ უფრო დიდი წარმატებები გელის.

ნურც იმით გაიტყვხ გუფს, შენს უშუალო ხელმძღვანელს, ბატონ ჯონდის, ცარიელ გამოსხედვასთან ერთად, თავიც ცარიელი რომ აღმოაჩნდა, ხოლო თანამედროვე ქართული მწერლობა ერთადერთი რამ არ ყოფილა ამ ქვეყანაზე, რაც მას არ ესმის და არც აინტერესებს. საქმე საქმეზე რომ მიდგეს, პირადად შენთვის, არც ის უნდა იყოს პრობლემა, თავცარიელ ჯონდი ბატონს, აზრს რომ ეკითხებიან. ვინ ვინ და მისი ხელქვეითები, თანაც ისეთი ხელქვეითები, ასაკითა და გონებით, აღმასრულებელ დირექტორს, ანუ ბატონ ჯონდის, მინიმუმ ორჯერ მაინც რომ აღემატებიან. ვიცი, ყოველივე ამას შენ მლიქვნელობის პიკს

ეძახი, რადგან ხედები, რომ ესენი ჯონდი უფროსს, განა მართლა სასარგებლო რჩევის მიღებისთვის ეკითხებიან ჭკუას, არა და არა. ესენი ჭკუას მხოლოდ იმიტომ ეკითხებიან, რომ თავის პირად უფროსს, რაც შეიძლება ხშირად შეახსენონ თავი და დიდკაცობის ხიბლი კიდევ უფრო ღრმად აგრძნობინონ. შენ კი, სულ რომ მიწაზე დაიწყო ხოსვა, ასეთ მლიქვნელობას არავისთან არ იკადრებ, და განა იმიტომ არ იკადრებ, რომ სხვისგან რჩევების მიღება გეთაკილება და ამპარტავანი გამხდარხარ?! არა, ბატონო, ამპარტავნობა აქ არაფერ შუაშია. შენ ასე და ამგვარად იმიტომ ვერ მოიქცევი, რომ ასეთი ქმედება შენში არ ზის. თუმცა, თავადაც ვერ აგისხნია ყოველივე, მაგრამ იცი, რომ არ ზის.

მთელი ცხოვრება გეუბნებიან, გკარნახობენ, ცოტა ცხოვრებისეული კაცი გახდი და იმლიქვნელყო, მაგრამ შენ ამას ვერ ახერხებ. სიმართლე რომ ითქვას, არც გიცდია ამგვარად ცხოვრება და იმიტომ. შენ რომ ასეთი მლიქვნელობა შეგეძლოს, მაშინ ძალიან გაგიადვილდებოდა ცხოვრება და ამ სამყაროსაც, ზოგიერთივით, მხოლოდ ნათელ ფერებში დაინახავდი.

მაგრამ შენ ასე ვერ ხედავ... და არც გაგემტყუნება.

აქ, ახალ გარემოში კი რა ხდება?!

მაინც, როგორ არ მოეწონათ, პირველი შენიშვნა რომ გამოთქვი. არადა, თითქოს, განსაკუთრებული არც არაფერი მომხდარა, შენ გარკვეული შეცდომები აღმოაჩინე და ამ შეცდომების გამოსწორება მოინდომე, მაგრამ, შენდა სამწუხაროდ, კიდევ ერთხელ დარწმუნდი, რომ ამ ქვეყანაზე ყველანაირი უფიცობისა და უწიგნურობის სათავე ამპარტავნობაა.

ღირს კი ახლა ამ ყველაფრის გახსენება?

რა თქმა უნდა, ღირს და, აკი, ვისხენებ კიდევ.

- ხალხი ასეთი მაღალი დონის ჟურნალის დასაბეჭდად, საზღვარგარეთ დადის, ჩვენ კი ამ საქმეს აქვე ვახერხებთ. – ამბობს ჯონდი და კმაყოფილი ხელებს იფშენეტს.

ამის შემხედვარე, ყველა კმაყოფილია და ყველა დიმილით იქნევს თავს.

მეც კმაყოფილი ვარ. სხვაგვარად არც შეიძლება იყოს, რადგან გარდა იმისა, რომ ამ ჟურნალში ჩემი ერთი სტატია იბეჭდება, ვიცი, რომ ჩვენი კომპანიის, ანუ უწყების ჟურნალში

მართლა უდიდესი ენერგია და თანხებია ჩადებული. ამას კი დაფასება სჭირდება.

ვაკვირდები დასაბუქლად გამზადებულ გვერდებს, შიგადაშიგ ტექსტსაც ვაგლებ თვალს და იქ, სადაც კომპანიის საქმიანობის შესახებ გვერდია, ასეთ სათაურს ვკითხულობ; - “ჩვენს შესახებ.” გარდა ამისა, რამდენიმე ადგილას სასვენი ნიშნები ან არ არის დასმული, ან თუ არის, შეცდომითაა დასმული. დანარჩენ სტილისტურ და კორექტურულ შეცდომებს ხომ თვლა არ აქვს.

სამწუხაროა, ძალიან სამწუხარო, არ მომწონს ეს ამბავი და კარგი განწყობაც უცებ მეცვლება.

- კი, მაგრამ აქამდე სად იყავი? – ვეკითხები საკუთარ თავს, – როცა უკვე ყველაფერი სტამბაში წასაღებადაა გამზადებული, მაინც და მაინც ახლა დაიწყე შეცდომების აღმოჩენა?

- სად ვიყავი და აქ ვიყავი, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ თითქოს საკუთარი გამოცდილება უნდა გამეზიარებინა, ვინმემ მიმაკარა საჭურნალე მასალებთან?

- მე მგონი, თქვენ ყველა ნომერში ასე წერთ ხოლმე, რაც ძალიან დიდი შეცდომაა. – ჩურჩულით ვეუბნები ჟურნალის გამომცემს პასუხისმგებელ პირს.

- რას? – მეკითხება ის.

- მაგალითად, აქ უნდა იყოს, არა “ჩვენს შესახებ,” არამედ “ჩვენ შესახებ.” ეს არის სწორი ფორმა.

ის ეჭვის თვალით მიყურებს და მეუბნება, - პირველად მესმის, ესეც რომ არა, უკვე რამდენი წელია ჩვენი ჟურნალი გამოდის და მსგავსი პრეტენზიით, რომ “ჩვენს შესახებ” შეცდომააო, არავის მოუმართავს, თქვენ წარმოიდგინეთ, ფილოლოგებსაც კი.

- მე არაფერი ვიცი თქვენი ფილოლოგების შესახებ, მაგრამ თუ დამიჯერებთ, სწორი ფორმაა – “ჩვენ შესახებ.” და კიდევ, როგორც ვატყობ, ჟურნალში უამრავი შეცდომა იპარება. – ვამბობ მე.

- მანდ რა ხდება, პრობლემაა რამე? – ინტერესდება ჯონდი ბატონი, რომელიც ჩვენგან არც თუ მოშორებით დგას.

- რა ვიცი, აბა, რაღაც შეცდომები ვიპოვეო, ასე ამბობს. – პასუხობს ჟურნალზე პასუხისმგებელი პირი.

- რაღა დროს შეცდომებზე ლაპარაკია, როდესაც ჟურნალი დასაბუქდააა მზად. - ამბობს ჯონდი და ჩვენთან ახლოს მოდის.

რამდენიმე წუთიანი თათბირის შემდეგ გადაწყვეტილებას იღებენ, რომ ზემოხსენებულ შეცდომებს ყურადღება არ მიაქციონ და ჟურნალი მაინც დაბეჭდონ.

- სხვა დროს მეტი ყურადღება გამოიჩინეთ ხოლმე. - აშკარად უკმაყოფილო სახით ამბობს გენერალური დირექტორი.

ეჰ, როცა არ იცი, რამდენი ყურადღებაც არ უნდა გამოიჩინო, შეცდომა მაინც მოგივა. ამ შემთხვევაში კი პრობლემა არა სინქარეში, ან საქმის მიფუჩქებაში, არამედ ელემენტარული წესების უცოდინარობაშია.

ჯონდი იხტიბარს არ იტებს და ამბობს:

- არა უშავს, დიდი ამბავი ახლა, ასე უნდა ეწეროს თუ ისე, მაგას მკითხველიდან სამი კაციც ვერ მიხვდება. სხვათა შორის, წერა ჩვენც ვიცით და ძალიან ბევრი კარგი რაღაცაც გვაქვს დაწერილი.

- ბატონო ჯონდი, ამ შემთხვევაში საქმე მშობლიური ენის სიწმინდესთან გვაქვს. - ვეუბნები მე.

- მერე რა მოხდა?! ეგ არაფერია!

- მაშინ, ასე ხომ არ აჯობებდა, ჟურნალის გამოშვება რამდენიმე დღით გადაგვედო და მანამდე ეს მასალები ხელახლა გადაგვემუშავებინა? - ვკითხები იქ შეკრებილ ხალხს.

- გამორიცხულია! - მკაცრად ამბობს ჯონდი, - ამ ჟურნალის გამოშვებას ხვალ ელოდებიან და, რომ არ გამოვუშვათ, კომპანიის პრესტიჟი შეილახება.

- ბატონო ჯონდი, ესე იგი, მთავარი კომპანიის პრესტიჟი ყოფილა, თორემ მშობლიური ენის პრესტიჟს თუ შევლახავთ, ეს არაფერია?!

- ჩემთვის აქ უცხო არავინ არ არის და ამიტომ, იცით, რას გეტყვით? მე ეს კომპანია პურს მაჭმევს და კარიერას მიკეთებს, მშობლიური ენა კი რას მაძლევს? არც არაფერს. ბოლოს და ბოლოს, თუ ძალიან გაჭირდა საქმე, მეც ავღებები და სხვა ენაზე დავიწყო ლაპარაკს.

- ჯონდი ბატონო, ახლა კი ნამდვილად აღარ მიკვირს, რატომ არ სცნობთ და არ იცნობთ თანამედროვე ქართულ მწერლობას. – აშკარად ვბრაზდები მე.

მაშ, რაღა გაეწყობოდა და ნიღაბი უკვე ჩამოხსნილი იყო, რომლის შემდგომაც, მე პირადად, ჯონდი ბატონს, ისეთ მოთხოვნებს ვეღარ წავუყენებდი, როგორსაც მაღალი ღირსებისა და ზნეობის მქონე ადამიანებს ვუყენებ ხოლმე. ან საერთოდ, რაღაა იქ გასარკვევი და სალაპარაკო, როდესაც შენი ხელმძღვანელი ამბობს, მშობლიურ ენას კარიერა მირჩევნია, რადგან ამით პურსა ვჭამო.

კარგი, ბატონო, ჭამს და ჭამოს... და საერთოდ, არც არის აუცილებელი, დედამიწაზე მცხოვრები ყველა ადამიანი ერთ ჭკუაზე დადიოდეს, ეს ხომ სიგიჟე იქნებოდა, ჯერ არნახული და არგავონილი სიგიჟე. დიახ, სიგიჟე იქნებოდა, მაგრამ ვფიქრობ, ის ამბავიც ადამიანთა გონებრივი შესაძლებლობების არანაკლებ დეფიციტზე მიუთითებს, როდესაც ხედავ, რომ შენ გვერდით მყოფი თანამშრომლები ზომბებს უფრო ჰგვანან, ვიდრე თანამედროვე ადამიანებს. არავითარი ემოცია და არავითარი ადამიანური სილაღე მათ თვალებში არ შეიგრძნობა. ის კი არა, მათი თითოეული მოძრაობაც თავისებურად შებოჭილი მქნევნება. ამ ადამიანებს მხოლოდ და მხოლოდ ერთი მიზანი, გნებავთ, იდეა ამოძრავებთ - როგორმე ხელმძღვანელი პირების სიახლოვეს იტრიალონ და თავი მოაწონონ. ამ “ადამიანი-ზომბებისთვის” არ არსებობს თავისუფალი იდეა და ადამიანური აღმაფრენა, მათი თითოეული სიტყვა, ნაბიჯი და მიხრა-მოხრაც, მხოლოდ ერთი წერტილისკენაა მიმართული – იმ წერტილისკენ, სადაც ხელმძღვანელი პირი ეგულებათ.

ჰოდა, ძნელი წარმოსადგენი არ არის, იმ წუთას, იქ, რა საერთო განწყობაც გამეფდებოდა. დაზომბირებული ადამიანები, კედლებივით ცივი და შეუვალნი გახდნენ, ხოლო ისედაც დამფრთხალი მათი გამოსხედავა, სულ მთლად წახდა, რადგან მათში ბუნებრივი ინსტინქტი ამოქმედდა, ინსტინქტი, რომლის ძალითაც, სულ რომ ცამდე მართალი იყოს, ისინი ქუჩიდან მოსული ადამიანის მხარეს არაფრის დიდებით არ დაიჭერენ და ისევ თავისი პირადი ხელმძღვანელის კუდს გამოეხეზებიან. თქვენ წარმოიდგინეთ, მაშინაც კი, თუ აშკარა

იქნება, რომ მათი პირადი ხელმძღვანელი გარკვეულ დეგრადაციას განიცდის.

მოკლედ, ჩემს თავდაპირველ იმედებს, რომ ახალ გარემოცვაში მოხვედრილს ღირსეულ ადამიანებთან შექნებოდა ურთიერთობა, პირველივე თვეს მსუბუქი გაქარწყლება, ხოლო მეორე თვეს სამუდამოდ აორთქლება ელოდა.

ჟურნალის გამოშვებიდან გადის რამოდენიმე დღე და, - გეძახის! - მეუბნება მდივანი გოგონა.

- ვინ მეძახის? - ვცდილობ დაზუსტებას.

მდივანი გოგონა პასუხად, საჩვენებელ თითს გენერალური დირექტორის კაბინეტისკენ იშვერს და მანიშნებს, ის გეძახისო.

შეველივარ კაბინეტში და ის ჯერ არნახული ღიმილით მხვდება; ფეხზე დგება, თავისი მაგიდიდან გამოდის, ძალიან ახლობელი ადამიანივით მხარზე ხელს მადებს და დიდი მაგიდის გვერდით რომ ჟურნალების პატარა მაგიდა და ორი სავარძელია, იქითკენ მითითებს, იქ დავსხდეთო.

- რაღაც ძალიან შინაურულად მხვდება და ნეტავ, რაიმე კარგს ხომ არ მიპირებს? - იმედი მეძლევა და სავარძელში კმაყოფილი ვჯდები.

ისიც ჯდება და მეუბნება, ყავას ახლავე შემოიტანეო.

- გმადლობთ, არ შეწუხდეთ - მეთქი, ვამბობ მე.

ვიწყებთ საუბარს, უფრო ზუსტად რომ ვთქვა, ის იწყებს და მეკითხება, ოჯახში როგორ ვართ, რამე ხომ არ მიჭირს, დაოჯახებას როდისღა ვაპირებ და ასე შემდეგ. მოკლედ, ძალიან მზრუნველი ადამიანივით მეკითხება. მეც მსიამოვნებს, როდესაც ადამიანისგან და მით უმეტეს ხელმძღვანელი პირისგან ასეთ ყურადღებას ვგრძნობ და ველი, რომ უფრო კონკრეტულ, ჩემთვის, რაღაც სასიამოვნო ამბავს მეტყვის, თორემ მართლა იმისთვის ხომ არ დამიბარებდა, რომ გაეგო, ოჯახში როგორ ვართ და დაოჯახებას როდისღა ვაპირებ?!

- ალბათ, რაღაც სიახლეს მეტყვის, ან რაღაცას შემომთავაზებს - ვფიქრობ გულში.

- სხვათა შორის, კარგად წერთ, - მეუბნება და სიგარეტს უკიდებს.

- გმადლობთ!

- ჰოდა, მაგ კარგ ნაწერებს, კარგი რეალიზება და დაფასება რომ სჭირდება, თუ იცით?

- რა თქმა უნდა, ვიცი, - ვეუბნები მე.

- თქვენ ახლა შემოსავალი გჭირდებათ და თქვენი ნაწერებით შეგიძლიათ უდიდესი შემოსავალი გაიჩინოთ. – ისე მეუბნება, რომ თვალეში არც მიყურებს. იყურება იქით, სადღაც ჭერში.

მომესმა თუ მართლა ასეთ რაღაცას ამბობს? უკვე ეჭვები მიჩნდება, რადგან მთელი ჩემი ცხოვრება, მსგავსი, ანუ ჩემთვის ასეთი მისაღები რამ, ჯერ არავის უთქვამს.

- დიას, შემოსავალი აუცილებელია. ხშირ შემთხვევაში შემოსავალი სტიმულიც არის, პიროვნებამ რომ ნაყოფიერი შრომა გააგრძელოს და უიმედოდ ხელი არ ჩაიქნოს. – ვამბობ ჩემის მხრივ.

- მართალი ხართ, ჰოდა, ამიტომაც, მე თქვენთან ერთი ასეთი შემოთავაზება მექნება. იმედია, კარგად გაანალიზებთ ყოველივეს და პასუხსაც ისე მეტყვით, თუნდაც რამოდენიმე დღის შემდეგ.

თქვენ როგორ ფიქრობთ, ასეთ დროს, რა შეიძლებოდა შემოეთავაზებინა ხელმძღვანელ პირს? ალბათ ხელფასი, კარიერა, მანქანა, ბინა, ქაღები, რესტორანი ან რაღაც ამის მსგავსი, არა? რა თქმა უნდა, ყველა მოკვდავი ადამიანი ასე იფიქრებდა და რა გასაკვირია, რომ გამონაკლისი არც მე ვიქნებოდი და მეც დაახლოებით ამგვარი მოლოდინი მექნებოდა. მაგრამ იმ შემოთავაზებამ, რაც გენერალური დირექტორისგან მივიღე, ყოველგვარ მოლოდინს კი არ გადააჭარბა, პირიქით, ყოველივე თავდაყირა დააყენა.

- შეგიძლიათ მითხრათ და პასუხს, ახლავე თუ ვერა, უახლოეს დღეებში აუცილებლად გაგცემთ. – ვამბობ გარკვეულ ინტერესში ჩავარდნილი.

- კეთილი! – ამბობს კმაყოფილი სახით, სიგარეტს საფერფლეში დებს და აგრძელებს, - რომ იცოდეთ, ადრე ჯონდიც წერდა ხოლმე რაღაცებს. ძირითადად ლექსებსა და ნოველებს. ისე, ხომ მოგწონთ ნოველები?

- რა თქმა უნდა.

- ძალიან კარგი. ჯონდი ხომ იცით, ჩემი ძმის შვილი რომ არის! ძალიან ჭკვიანი და პროგრესულად მოაზროვნე ადამიანია. ცოტა თავისებური, მაგრამ, მოგეხსენებათ, ყველა დიდი ადამიანი თავისებური ხასიათით გამოირჩევა. ამიტომ, ასეთ ადამიანებს უნდა გავუგოთ და თავისებურად მივუდგეთ. ჩვენი ვალია, ასე მოვიქცეთ, თორემ მომავალი თაობები ჩვენ

გაგვამტყუნებენ და იტყვიან, რატომ გვერდში არ დაუდგნენ ნიჭიერ ადამიანებსო?!

მიუხედავად იმისა, რომ ცივი ზამთარია, გენერალური დირექტორი მაინც ოფლად იღვრება და სველ სახეს ცხვირსახოცით იწმენდს.

ამ დროს, მდივან გოგონას ყავა შემოაქვს.

- გვერდში დგომა ყველას სჭირდება, გენიოსსაც, საშუალო ნიჭის მქონე ადამიანსაც და უნიჭოსაც. ასე არ არის? – ვეკითხები და გული უკვე, რაღაც ცუდს მიგრძნობს.

- გეთანხმებით, მაგრამ ჩვენ ამჯერად ნიჭიერ ადამიანზე, ანუ ჯონდიზე ვსაუბრობთ. – ამბობს და ახალ სიგარეტს უკიდებს, ხოლო წინა სიგარეტი, საფერფლეში რომ ჩაღო, ჯერ ნახევრამდეც არ იყო მისული.

- რითი შემიძლია დაგეხმაროთ?

- თქვენ ჯონდის უნდა დაეხმაროთ, და არა მე!

- და რითი შემიძლია ჯონდის დაგეხმარო?

- თქვენი გონებითა და შემოქმედებით.

- მაგალითად?

- მაგალითად, თქვენ წერთ და საკმაოდ კარგადაც. როგორც მოგახსენეთ, ადრე ჯონდიც წერდა, მაგრამ ამ ცხოვრებამ წერაზე ხელი ააღებინა და სულ სხვა საქმეში გადაისროლა. ნიჭიერი ადამიანი რომ არის, არც ახალ საქმიანობაში დაკარგულა, ჰოდა, მოდით, შევუწყოთ ხელი ჯონდის და პატარა, ცხოვრებისეული ბიბი მივცეთ. აი, თქვენ ხომ წერთ რაღაცებს, თანაც კარგად, ჩემი წინადადება იქნება, წერეთ ხოლმე საინტერესო მასალები ჟურნალისთვის, ასევე ნოველები, მოთხრობები, რომანი... წერეთ, რაც გნებავთ და რაც თქვენს გონებაში მოიხარშება, ამაში არავინ გზღუდავთ, პირიქით, აქეთ ხელს შეგიწყობთ, ოღონდ მერე ისე მოვიტყუოთ, რომ ეს თქვენი ნაწერები ჯონდის სახელით გავაცნოთ ფართო საზოგადოებას. თქვენ ამით ძალიან დიდი დაფასება გექნებათ ჩემგან, უფრო ზუსტად რომ გითხრათ, უდიდესი ფინანსური მოგება, ანუ შემოსავალი. მე მგონი, დამეთანხმებით, რომ ამ ქვეყანაზე უმთავრესი მატერიალური დაინტერესებაა, თორემ მარტო წერა არაფერია. აი, მაგალითად, თქვენ წერთ, მაგრამ უსახსრობის გამო ვერ ბეჭდავთ ხოლმე, და როცა ბეჭდავთ, ხომ ხედავთ, რომ ასეთ გაძაღლებულ ყოფაში არავის ეწიგნება და თქვენი წიგნებიც თაროებზე ობმოდებული დევს. ამიტომ,

დაგვიდექით გვერდში, ვიმეგობროთ და გპირდებით, რომ თქვენი მატერიალური მდგომარეობა ისე მოულოდნელად გაუმჯობესდება, რომ თავი ზღაპარში გვეგონებათ.

- ესე იგი, მთავაზობთ, რომ ვწერო, ანუ ვიყო მწერალი, მაგრამ ყველაფერი ჯონდის სახელით ვაქვეყნო?

- არა, მთლად ყველაფერი არა, თქვენი სახელითაც შეგეძლებათ რაღაცები წეროთ, მაგრამ თუ კარგ რამეს დაწეროთ, ნოველა იქნება, მოთხრობა თუ რომანი, და მე მომეწონება, ჯონდის სახელით გავავრცელოთ. ოღონდ ეს ამბავი, დედამიწის ზურგზე მხოლოდ სამმა ადამიანმა უნდა ვიცოდეთ; მე, თქვენ და ჯონდიმ.

- აჰა, ახლა უკვე აღარ მიკვირს, რატომ ცხოვრობენ ასეთი ადამიანები კარგად, ტკბილად და უღარდელად?! აღარ მიკვირს, აღარ! – ვფიქრობ და მეღიმება.

ხოლო გენერალური დირექტორი მეუბნება, იმედია, ჩემს შემოთავაზებაზე უარს არ იტყვით, თუმცა, პასუხის გაცემა საჩქარო არ არის, შეგიძლიათ, რამოდენიმე დღის შემდეგ მითხრათო.

მე ფეხზე ვდგები და ვეუბნები, - ასეთ შემთხვევაში პასუხის გაცემა საჩქაროა, თანაც ძალიან საჩქარო, რადგან არ მიყვარს, როდესაც ადამიანები ცრუ ილუზიებით იკვებებიან – მეთქი.

- ახლავე შეგიძლიათ, პასუხი მითხრათ? – მეკითხება გაოცებული.

- დიახ, ახლავე!

- გისმენთ! – მეუბნება და ისეთ ნაფაზს ურტყამს, ლამის სუნთქვა ეკვრება.

- ასეთი ხუმრობისთვის, მეორედ აღარ დამიძახოთ! - ვამბობ და კაბინეტიდან გამოვდივარ.

და კიდევ, საინტერესო, იცით, რა არის? გენერალური დირექტორის კაბინეტიდან ისე გამოვდივარ, რომ რატომღაც ყავისთვის ხელი არც მე მიხლია და არც იმას.

ამის შემდეგ იყო მესამე თვე, მაგრამ მანამდე სულ მცირე ხნით, ისევ მეორე თვეს მივუბრუნდეთ.

ვიოლა ერთადერთი გოგონაა ჩემს ახალ გარემოცვაში, რომელთანაც საუბარი შეიძლება და რომელიც არავის (განსაკუთრებით ხელმძღვანელთა) წინაშე არასოდეს კეკლუცობს. ალბათ იმიტომ, რომ მას ეს არ სჭირდება, ის ხომ

ისედაც მუდამ ყურადღების ცენტრშია. ეს ფერმკრთალი და ფერიასავით ლამაზი გოგონა არაფერს არ იგონებს, თუმცა არც ცდილობს, ვინმეზე რაღაც ზეადმატებული შთაბეჭდილება მოახდინოს... ვიოლა, ყოველთვის არის ის, რაც შინაგანად არის და ამიტომაც გამოირჩევა სხვებისგან. ასეთ ადამიანებს კი, მე პირადად, არა მარტო პატივს ვცემ, არამედ ვაღმერთებ კიდევ.

ჰო, რაც მთავარია, ვიოლა, რომელიდაც სასწავლებელში ჟურნალისტიკაზე სწავლობს (აღბათ, როგორც კოლეგები, ამიტომაც ვუბნობთ ერთმანეთს) და თან ამ კომპანიაშიც მუშაობს... თუმცა, აქ სრულად მაინც არ იტვირთავს თავს, მხოლოდ რამოდენიმე საათით თუ შემოირბენს ხოლმე. მოკლედ, სწავლობს და, თან სტაჟისა თუ გარკვეული ანაზღაურების მიზნით, მუშაობს კიდევ.

ბოლო ორი დღეა, ვიოლა მთხოვს, იქნებ, სულ რაღაც თხუთმეტიოდე წუთით გამოგნახოთ დრო, ამ ერთფეროვნებას გავერიდოთ და სადმე დავსხდეთ, თორემ აქ არაფერი გამოგვივაო.

- რაშია საქმე და აქ რა არ გამოგვდის? – ვეკითხები არსეინად.

ის კი მპასუხობს: როგორც დამწყებ ჟურნალისტს, შენთან რამოდენიმე კითხვა მაქვს და უნდა მიპასუხო. არა, მთლად ინტერვიუ არ იქნება, ჩათვალე, რომ მხოლოდ გულახდილად ვსაუბრობთ და რამოდენიმე შეკითხვას გაძლევო. თან კიდევ ერთხელ მიმეორებს, მხოლოდ თხუთმეტიოდე წუთით დავსხდეთ აქვე, სადმე, ახლო-მანლო, თორემ ძალიან დაკავებული ვარო.

ამაზე უარს როგორ ვეტყვი და ვთანხმდები.

ჰოდა, დღეს, როცა უკვე მოსაღამოვებას იწყებს, სამუშაო საათები დასრულებულია და ხალხიც გაკრეფილი, მე და ვიოლა, ჩვენი შენობის გვერდით, კვების პატარა ობიექტისმაგვარი რომ დგას, იქ ვსხედვართ. ოღონდ, სიმართლე რომ ვთქვა, ეს კვების ობიექტისმაგვარი (რომელსაც შესასვლელში პატარა აბრაც არა აქვს გაკრული, რომ ადამიანი მიხედვს, სად შედის) საჩაივია, ყავახანაა, ლუდის ბარია, სახინკლეა თუ უბრალოდ სასადილოა, უკვე ორი თვეა ამ დაწესებულებაში შემოვდივარ ხოლმე და მე პირადად, მაინც ვერ გავარკვიე.

თუმცა, ამას ჩემთვის გადამწვევტი მნიშვნელობა არა აქვს, და ალბათ, არც ვიოლასათვის.

- ძალიან კარგია, რომ დამთანხმდი. – ამბობს ვიოლა და ყავის ოხშივარს ვნებიანად ყნოსავს.

- დაგთანხმდებოდი, აბა, რა იქნებოდა, ოღონდ, იცოდე, შენ რომ სხვებისგან არ გამოირჩეოდე და ზოგიერთებს ჰგავდე, ნურაფრის იმედი ნუ გექნებოდა. – სიცილით ვეუბნები მე.

- შენც რომ სხვებისგან არ გამოირჩეოდე და ზოგიერთებს ჰგავდე, არც მე დაგიჯდებოდი აქ, ამ გაურკვეველი ფუნქციისა თუ წარმომავლობის მქონე კვების ობიექტში. – ისიც სიცილით მპასუხობს და ყავის სმას იწყებს.

მე ლუდს ვსვამ, ოღონდ პირდაპირ ბოთლიდან. ვსვამ და თან ვფიქრობ, ნეტავი, გოგოები, ნალექიან ყავაში, რას ნახულობენ ისეთს, რომ ზამთარ-ზაფხულს შეუძლიათ მთელი დღეები ისხდნენ და ეს სითხე სვან?!
არ ვიცი, ნამდვილად არ ვიცი და ყოველივე ეს, პირადად ჩემთვის, დიდ გამოცანად რჩება, ისევე, როგორც ვიოლასათვის, თურმე გამოცანად რჩება ის, თუ ლუდში რა სიამოვნებას ვიღებ, მით უმეტეს, ამ ცივ ზამთარში, როდესაც ყველა და ყველაფერი გაყინულია.

- ასეთ ცივ ზამთარში, მაგ ლუდით რომ იჭყიპები, ყელი არ გეტკინება? – მეკითხება ვიოლა.

- ყელი, თორემ, მეც ახლა ტენორის ხმა არ დაგკარგო.
- ხმას მარტო ტენორები უფროთხილდებიან?

- კი, მაგრამ აქ ამის გასარკვევად შემოვედით? – სიცილით ვეკითხები მე.

ისიც იცინის და ამ ჩვენს გასაუბრებასა თუ ინტერვიუს აშკარად არაორდინალურად იწყებს.

- შენ რომ საკუთარი წიგნი მაჩუქე, ხომ გახსოვს?
- მაგას რა დამავიწყებს.
- ჰოდა, ის წიგნი უკვე წავიკითხე.
- იმიტომ გაჩუქე, რომ უნდა წავგეკითხა.
- ყველაფერში გეთანხმები, აბსოლუტურად ყველაფერში, და სხვათა შორის, მაგ საკითხებზე, რაც მაგ წიგნში გაქვს წამოჭრილი, მეც ხშირად მიფიქრია ხოლმე...

მერე უცებ ჩერდება, მცირე პაუზას აკეთებს და:

- იცი, მეც ვწერ ხოლმე მოთხრობებსა და კიდევ რაღაცებს. რომანიც მაქვს დაწერილი. მოკლედ, ვწერ და სხვადასხვა ჟურნალებში ვაქვეყნებ.

- მართლა? ეს არ ვიცოდი. თუ სურვილი გაქვს და თან წერაც შეგიძლია, წერე, მაგას რა ჯობია?! ისე, შენს ნაწარმოებებს თუ წამაკითხებ, ძალიან გამეხარდება.

- აუცილებლად, ამ დღეებში აუცილებლად მოგიტან, ოღონდ მანამდე ერთი რაღაც მინდა გკითხო.

- თუ გინდა, ორი იყოს.

- მთლად უკეთესი. მაშ ასე, იქნებ მითხრა, რამდენ ხანს ანდომებ ხოლმე ერთი ნაწარმოების შექმნას?

- დიდ ხანს, ძალიან დიდ ხანს. მაგალითად, შენ რომ წიგნი გაჩუქე, მაგ რომანის შექმნას, მთელი თოთხმეტი წელი მოვანდომე.

აქ ვიოლას სიცილი უვარდება, მერე ხელს მაჯაში მკიდებს და მეკითხება:

- ხუმრობ, არა? ისე, მართლა საუცხოო იუმორის გრძნობა გაქვს.

- არა, სრულებითაც არ ვხუმრობ, სიმართლეს მოგახსენებ.

- ესე იგი, შენ გინდა თქვა, რომ ბოლო რომანის შექმნას, რომელიც ას ოთხი თუ ას ხუთი გვერდისგან შესდგება, თოთხმეტი წელი მოანდომე?

- დიახ, სრული თოთხმეტი წელი, არც მეტი და არც ნაკლები.

- ოჰეჰეჰეჰეჰე - გააგრძელა ვიოლამ, - საოცარია, აი, მე, მაგალითად, მაგ მოცულობის ნაწარმოებებს, რამოდენიმე თვეში, ან მაქსიმუმ ერთ წელიწადში ვქმნი ხოლმე.

- იცი, რა არის? შენ, ალბათ ნაწარმოების შექმნაში იმ პერიოდს გულისხმობ, როდესაც კალამს იღებ ხელში და წერ, ანუ კალმის ადებიდან და პირველი სტრიქონების დაწერიდან, ბოლო სტრიქონების დაწერამდე, ანუ კალმის დადებამდე.

- დიახ, დიახ, კალმის ადებიდან და პირველი სტრიქონების დაწერიდან, უკანასკნელი სტრიქონების დაწერამდე და კალმის დადებამდე. რა, ეგრე არ უნდა იყოს? – უკვირს ვიოლას.

- კი, გეთანხმები, კალამს ვიღებთ და ვიწყებთ წერას, მაგრამ ამ ყველაფერს, ფანტაზიაა თუ ცხოვრებისეული გამოცდილება, მანამდე ხომ უნდა გააზრება, ფიქრი, აწყობა და გონების უჯრედებში გარკვეული სახით ჩასმა? ყველა

ნაწარმოები მწერალმა ჯერ ცხოვრებისეული გამოცდილების სახით უნდა გადაიტანოს, მერე ყველაფერი მის გონებაში მომწიფდეს, დალაგდეს და დადვინდეს, რასაც, შეიძლება წლები დასჭირდეს, ხოლო ამის შემდეგ, სულ ბოლოს კი, შეიძლება მწერალმა კალამი აიღოს ხელში და წერა დაიწყო. ბოლო ეტაპი, ანუ კალმის აღება, წერა და მერე ისევ კალმის დადება, როგორც იტყვიან, ძალიან მარტივი, მწერლური ტექნიკის საქმეა. უმთავრესი რამ კი მწერლის გონებაში, ემოციებში და გრძნობებში სწორედ კალმის აღებამდე ხდება.

- ესე იგი, შენ, ფაქტობრივად, აღიარებ, რომ დენისი, რუფა და მაესტრო გამოგონილი პერსონაჟები არ არიან, ხოლო სერბეთის სუსხიანი ოქტომბერი, შენს ცხოვრებაში ნამდვილად იყო?!

- დარწმუნებული ვარ, რომ ამ ცოდვილ დედამიწაზე ძალიან ბევრი დენისი, რუფა და მაესტროს მეტსახელის მქონე ადამიანი დადის, - ღიმილით ვამბობ მე.

- ოოო, მე მგონი, შენ ისევ ხუმრობ, და საერთოდ, ხანდახან მართლა ვერ ვიგებ ხოლმე, როდის ხუმრობ და როდის, არა - სიცილით ამბობ ვიოლა და განაგრძობს, - შენს ცხოვრებაში, სერბეთის, ანუ ყოფილი იუგოსლავიის სუსხიანი ოქტომბერი, მართლა იყო თუ არა?

- რა თქმა უნდა, იყო. თუ დაინტერესდები, სხვა დროს, შემიძლია იუგოსლავიის ვიზაც გაჩვენო.

- ჰო, კარგი, მჯერა, შენ ახლა ეს მითხარი, ბიბლია სიცრუეაო, იქ ასე, რატომ ამბობ?

- ცდები, მე ასე არ ვამბობ. იმ ნაწარმოებში მე ვამბობ, რომ ამ ქვეყანაზე, მხოლოდ პირადი სარგებლობის გამონახვის მიზნით, იმდენ ცრუ წინასწარმეტყველადშერაცხულ და საკუთარ ფანტაზიაში ჩაფლულ პიროვნებას ვხედავ, რომ ხანდახან ამგვარი მკრეხელური აზრიც გამიელვებს ხოლმე თავში: მაგალითად, ნეტავ, ბიბლიაც ასეთი, სიცრუიდან აღმოცენებული ფანტაზიის მქონე ადამიანების გონების ნაყოფი ხომ არ არის - მეთქი? აი, ასე ვამბობ მე, და არა ისე, შენ რომ გახსოვდა. მე მგონი, განსხვავება დიდია, არა?

- გეკითხები, როგორც მართლმადიდებელ მწერალს, შენი ნება რომ იყოს, ყოველი ქუჩის კუთხეში ეკლესიას თუ ააშენებდი და ყოველი შენობის თავზე ჯვარს თუ აღმართავდი?

- ჯერ ერთი, მე მწერალი ვარ, და არა სულიერი მოძღვარი, და მეორეც, მე მარტო მართლმადიდებლების მწერალი არ ვარ.

- ??

- რომ იცოდე, მე, როგორც მართლმადიდებლების, ისე არამართლმადიდებლების და შენ წარმოიდგინე, ათეისტების მწერალიც ვარ. ისიც გაითვალისწინე, რომ ამ ქვეყანაზე სხვა რელიგიის მიმდევრებიც ცხოვრობენ, რომელთაც, შეიძლება იმ ეკლესიისა და ჯვრის არ სწამდეთ, მე რომ მწამს. ეგეც რომ არა, ყოველი ქუჩის კუთხეში ეკლესია და ყოველი შენობის თავზე ჯვარი წარმოუდგენლად მიმაჩნია, რადგან ასეთ შემთხვევაში ეს ქვეყანა, გნებავს ქალაქიც, ერთ დიდ სასაფლაოს დაემსგავსებოდა. აბა, ერთი წუთით წარმოიდგინე, კაზინოების, ტოტალიზატორების, რესტორნებისა და ღამის კლუბების თავზე, ჯვარი რომ იყოს აღმართული. გეკითხები, ღამაზი და გამართლებული იქნებოდა ყოველივე ეს? რა თქმა უნდა, არ იქნებოდა. არადა, კაზინოებს, ტოტალიზატორებს, რესტორნებსა და ღამის კლუბებს ხომ არ დახურავ? მათ, კანონით, ისევე აქვთ ფუნქციონირების უფლება, როგორც ნებისმიერ სხვა ობიექტებს.

- ალბათ, ძალიან განიცდი, როცა ხედავ, ჩვენი მწერლები უმძიმეს სამუშაო პირობებში რომ იმყოფებიან.

- გააჩნია, უმძიმეს სამუშაო პირობებში რას გულისხმობ?!

- მაგალითად, უმძიმეს სოციალურ ფონს, გაჭირვებასა და უსამართლობას, რაც ჩვენი ქვეყნისთვის უცხო ხილი ნამდვილად არ არის.

- რას ამბობ, პირიქით, ჭეშმარიტი მწერლისთვის უმძიმესი სოციალური ფონი, გაჭირვება და უსამართლობა პირდაპირ მისწრება უნდა იყოს, მისწრება.

- მე მგონი, შენ ისევე ხუმრობ!

- არა, არ ვხუმრობ. ისე, რომ იცოდე, ნებისმიერ მწერალს, სწორედ უმძიმესი სოციალური ფონი თუ ფსიქოლოგიური მდგომარეობა აძლევს უდიდეს ცხოვრებისეულ გამოცდილებას, რის შემდეგაც, ეს ცხოვრებისეული გამოცდილება, აიძულებს, რომ მან კალამი აიღოს ხელში და ყველა ის უკუდმართობა თუ უსამართლობა, რაც მის ქვეყანაში ხდება, ფურცლებზე გადაიტანოს. საქართველოში კი ამ მხრივ, ანუ მწერლობისთვის, მართლაც ნოყიერი ნიადაგია შექმნილი,

რადგან აქაური განუკითხობა, ქაოსი, უსამართლობა, ომები, შიმშილი, უვიცთა აღზევება, მძიმე ბავშვობა, დაკარგული თაობები, ქვეყნიდან მოსახლეობის მასიური გადინება, ნაადრევად დაბერებული ახალგაზრდობა და გამწარებული სიბერე, ჩვენებურ მწერლებს ცხოვრებისეული გამოცდილების მიღებაში, შემდეგ კალმის ხელში აღებაში და გულშიჩამწვდომი ნაწარმოებების შექმნაში, სწორედაც რომ ესმარება. აბა, დალხენილ ქვეყნებში, რა უნდა წეროს, უფრო, რა უნდა გამოიგონოს კაცმა? გამაძღარმა ქვეყანამ და საათივით აწყობილმა ცხოვრებამ, უმეტეს შემთხვევაში, შეიძლება ზღაპრების, მოზარდებისთვის განკუთვნილი ნაწარმოებების, ან სულაც ლექსების წერა დააწყებინოს კაცსა თუ ქალს, მაგალითად, უღრუბლო ცა, ვარდი, მტრედები, სიყვარული, ზღვა და ასე შემდეგ... მწერლობა კი, სულ სხვა, უფრო მძიმე რამ არის, ვიდრე მეზღაპრეობა და მელექსეობაა.

- ესე იგი, შენ თვლი, რომ აწყობილ ქვეყნებში მწერლები ვერაფერს დაწერენ?

- მე არ მითქვამს, აწყობილ ქვეყნებში მწერლები ვერაფერს დაწერენ – მეთქი. მე ვამბობ, რომ ცხოვრებისეული თვალსაზრისით, აწვილ ქვეყნებში, უფრო ნოყიერი ნიადაგია მწერლობისთვის შექმნილი, ვიდრე თანამედროვედ აწყობილ, გამაძღარ და უპრობლემო ქვეყნებში. სულ ეს არის და ეს. რაც შეეხება აწყობილ ქვეყნებს, იქაც წერენ, როგორ არ წერენ, მაგრამ იქ უფრო მეტი ფანტაზია და გამომგონებლობა სჭირდება ადამიანს, ვიდრე აქ. აწვილ ქვეყანაში, რადგან საწერი მასალა, იქ ცოტაა, აქ კი ბევრია, ძალიან ბევრი. აწყობილ ქვეყანაში, მწერალმა, ყოფითი პრობლემები და უსამართლობა (რაც ძირითადად, ყველა პრობლემის სათავეა) უნდა გამოიგონოს, ანუ შეთხზას, ხოლო აქ, ყოფით პრობლემებსა და უსამართლობას არავითარი გამოგონება და შეთხზვა არ სჭირდება, რადგან ყველაფერი აქვეა, ჩვენ გვერდით და ჩვენთან ახლოს. ჰო, კიდევ, აწყობილ ქვეყანაში, დეტექტიური ჟანრის ნაწარმოებები (მკვლელ-მანიაკებზე) შეიძლება წეროს მწერალმა, რასაც მართლა უდიდესი ფანტაზია და მწერლური გამომგონებლობა სჭირდება.

- იქნებ მითხრა, ყველაზე მეტად რაზე გტკივა გული?

- როდესაც ვუცქერ, თუ როგორ ხდება ჩემს ქვეყანაში უნიჭობისა და ფარისევლების აღზევება.

- შესაძლებლობა რომ გქონდეს, როგორ მიმართავდი ადამიანებს?

- ადამიანებო, ბევრ სიბრძნეს ნუ იტყვით, თორემ თქვენი თანამომქმენი ვერ მიგიხედებიან ნათქვამს და გიჟად ჩავთვლიან.

ამ საუბრის შემდეგ, სულ მალე მეორე თვეც მიიწურა და ყინვისმფრქვეველმა ზამთარმა ყველაფერს თავისი კვალი დაამჩნია.

გაიყინა ხეები, გაიყინა კლდეები, გაიყინა კედლები...

ადამიანთა გაყინული გულები და სახეები ხომ, სულ მთლად გაიყინა და გაიყინა.

თვე მესამე

ორშაბათი დღეა, სამსახურში მისვლა რატომღაც ადრე მომიწია. ჯერ არავინ მოსულა და მეც მარტოდმარტო დავბოდიხალვ ცარიელ ოფისში. სხვა რა გზაა, ჩავიბრუნე პირველ სართულზე და დაცვის ოთახში შევალ, ცოტათი დროს გავიყვან. დღეს ხომ, იმ ბერიკაცის მორიგეობის დღეა. მოკლედ, ეგ კაცი რომ არ მყავდეს, რა მეშველებოდა. მართლა კარგი ადამიანია; გულისხმიერი, საინტერესოდ მოსაუბრე და რაც მთავარია, სამართლიანი. ლაპარაკში და გამოსხედვაშიც, აშკარად ემჩნევა, უდიდესი ცხოვრებისეული გამოცდილებისა და წარსულის მქონე კაცი რომ უნდა იყოს. მასაც ძალიან უყვარს ჩემთან მუსაიფი. როცა საქმე არ გვაქვს, დამისვამს ხოლმე თავისთან ჯისურში და შეუძლია საათობით მელაპარაკოს. რაზე ვლაპარაკობთ? ყველაფერზე, რაზეც მამაკაცებმა შეიძლება ილაპარაკონ. განვიხილავთ ყველა საკითხს, მთისას და ბარისას, ცისას და დედამიწისას, ღმერთისას და ეშმაკისას, სიყვარულისას და სიძულვილისას. იცის, რომ ცივა თუ თბილა, მაინც გამაგრებელი სასმელები ან ლუდი მიყვარს. ჰოდა, ისიც, იქვე, კუთხეში, სავარძლის გვერდით მიდგმულ პატარა მაცივრიდან “კოკა – კოლას,” “ფანტას,” ან ლუდს გამოიღებს ხოლმე, მაგიდაზე დადგამს და მეტყვის, დალიე, ძამიკო, დალიე, დღეს ისეთ ცხელ

საკითხებზე უნდა ვილაპარაკოთ, რომ ასეთი გრილი სასმელის დაღვევა პირდაპირ მისწრება იქნება შენთვისო. მეც მივცუცქდები ელექტროგამათბობელთან, კნუტივით ვთბები და თან ვსვამ.

აი, ახლაც, შევდივარ თუ არა მის პატარა ოთახში, ხელს მიწევს, მესალმება და დაჯექიო, სკამზე მანიშნებს. მეც ვესალმები და ელექტროგამათბობელთან ახლოს ვჯდები.

- რას დაღვევ, ძამიკო, ლუდს, “კოკა – კოლას,” “ფანტას” თუ სხვა რამეს? - მეკითხება ბერიკაცი.

- რასაც გაიმეტებ, იმას დაღვევ! - ვეუბნები და ხელები ელექტროგამათბობელთან ახლოს მიმაქვს.

- მე შენთვის არაფერი მენანება, სხვებს კი არ ვგავარ, - მეუბნება და მაგიდაზე “კოკა – კოლა” დგამს, - ამ დილაადრიან ლუდი არ გინდა, მოგთენთავს და ძილს მოგანდომებს, ჯობია “კოკა – კოლა” დალიო, დღეს ძალიან ცხელ თემაზე უნდა ვილაპარაკოთ - ამატებს ბოლოს.

მერე კეფას იფხანს, ცოტა ხნით ჩერდება და გაოცებული სახით მეკითხება: - გუშინ სად იყავი, აქ რატომ ვერ გნახე?

- გუშინ კვირა იყო და აქ რატომ უნდა გენახე? - ვპასუხობ მე.

- მართალი ხარ, კვირა იყო, მაგრამ მინდოდა, შენც მენახე. შენ კი არ ჩანდი და ძალიან დამწყდა გული, ძალიან.

- იქნებ ამიხსნა, გუშინ აქ რატომ უნდა გენახე და ჩემი ვერნახვით, გული რატომ დაგწყდა?

- რა ვიცი, აბა, როგორ გითხრა. ისე, შენ მართლა არაფერი იცი გუშინდელი ამბის შესახებ?

- არ ვიცი და, იქნებ მითხრა, რა ხდებოდა?

- გასაგებია, გასაგებია! - გულდაწყვეტით ამბობს ბერიკაცი, მერე ჩემ წინ ჯდება და მეკითხება, - გარეთ ცივა?

- ცივა ისე, როგორც ზამთარში უნდა ციოდეს, მაგრამ გუშინ რა მოხდა, გუშინ, შენ ეს მითხარი.

- მაგალითად, გუშინ ასე არ ციოდა და მეც გასეირნება გადავწყვიტე. ხომ იცი, აქედან ორიოდე ნაბიჯზე რომ არის ჩემი სახლი. ისიც იცი, სუფთა ჰაერზე სეირნობა რომ მიყვარს. ჰოდა, გუშინ, მოსალამოვებულზე ამ სკვერისკენ ჩამოვისეირნე და ვხედავ, ჩვენს ოფისთან ხალხმრავლობაა. არადა, კვირა დღე იყო, უქმე დღეს კი მხოლოდ შენობის დარაჯი უნდა

ყოფილიყო აქ. ჩემი მორიგეობა არ იყო, სხვა მორიგეობდა. მოვედი შენობასთან და რას ვხედავ, ამ კომპანიის თანამშრომლები, ანუ მთელი ამათი საახლობლოს წარმომადგენლები, რაღაც საზეიმო განწყობით, აშკარად ნაყლაპში არიან და თვალებს აუუქუნებენ.

აქ ბერიკაცი ჩერდება, მაგიდიდან სათვალეს იღებს, ფეხზე დგება და კედელზე რომ გაკრული კალენდარია, იქ მიდის. მერე რაღაცას ბუტბუტებს და კალენდარზე კალმით დღეების მონიშვნას იწყებს.

- რას აკეთებ? – ვინტერესდება მე.

- ჩემს სამუშაო დღეებს ვითვლი. გუშინ სხვა მორიგეობდა. ჰოდა, იმას გეუბნებოდი, ვხედავ, შენი თანამშრომლების წარმატებული ნაწილი აქ შეკრებილა და საზეიმო განწყობაში ჩაფლულა. მე, ბუნებრივია, შენ დაგიწყე ძებნა, მაგრამ რას გნახავდი, როცა არც კი გცოდნია, გუშინ რა ხდებოდა. გიკითხე კიდევ, სად არის – მეთქი, მაგრამ არ ვიცითო, მიპასუხეს. ვის ვკითხე? ვის და, ჯერ ჯონდი ბატონს, შემდეგ ბიძამისს. თანაც, ჯონდომ ნამუსის ძარღვი სულ მთლად გაიწყვიტა და ასე მიპასუხა, იმას ასეთ შეხვედრაზე, რა უნდაო?! ბევრი რომ არ გავაგრძელო, გუშინ აქ, ამ კომპანიის მთელი დამფუძნებლობა თუ დიდკაცობა მოსულა. იმ დამფუძნებლებზე და დიდკაცებზე მაქვს ლაპარაკი, ცენტრალურ ოფისში რომ სხედან, აქ კი, დირექტორები რომ ჰყავთ ჩასმული და იქიდან რომ მართავენ სიტუაციას. ასე რომ, გუშინ აქ, ამ კომპანიის ისეთი დიდკაცობა მოსულა, აქაური თანამშრომლების უდიდესი ნაწილი, მხოლოდ ტელევიზორში რომ ნახულობს ხოლმე. შენ კი ამ შეხვედრაზე არ იყავი. არ გაგაგებინეს, საჭირო კაცად არ ჩათვალეს და იმიტომ.

- ცენტრალური ოფისიდან, ხელმძღვანელობის მოსვლა რომ იგეგმებოდა და რაღაცას აპირებდნენ, მე ეს ვიცოდი, ოღონდ არ ვიცოდი ზუსტი დღე.

- ელოდი, რომ არ დაგიძახებდნენ?

- სიმართლე გითხრა, არ ველოდი, რადგან ჩვენ ხომ თანამშრომლები ვართ და ერთ საქმეს ვემსახურებით?

- ელოდი, მაგრამ არ დაგიძახეს, და იცი, რატომ არ დაგიძახეს? – მეკითხება ბერიკაცი და თვალს თვალში მიყრის.

- არ ვიცი, ნამდვილად არ ვიცი. შეიძლება ძალიან ვიწრო წრეში გააკეთეს წვეულება და საჩემო ადგილი აღარ ჰქონდათ.

- არა, არა, ადგილების რაოდენობა და ვიწრო წრე მანდ არაფერ შუაშია, რადგან ამ ოფისში არც ისე ბევრი თანამშრომელი ხართ, რომ ასეთ შეხვედრაზე ყველას მიწვევა ვერ მოეხერხებინათ. ეგეც რომ არა, თითქმის ყველა შენი თანამშრომელი იყო მოწვეული, გესმის შენ ჩემი, თითქმის ყველა, შენ კი არ გაგაგებინეს. ჭკვიანი ადამიანი ხარ და უნდა მიხვდე.

- რას უნდა მიხვდეთ?

- დამიჯერე, ძამიკო, შენზე მეტი მინახავს ამ უკუღმართ ცხოვრებაში და ვიცი, რასაც ვამბობ. შენ რომ ერთი ვიღაც, უვიცი და ბნელი ადამიანი იყო, ასეთ შემთხვევაში, არა მარტო დაგიბახებდნენ, არამედ ზედ გადაგყვებოდნენ და სუფრის თავშიც დაგსვამდნენ, მაგრამ შენი პრობლემაც სწორედ ის არის, რომ ჭკვიანი ადამიანი ხარ, ხოლო ჭკვიანი, მაგრამ უპატრონო ადამიანები ამ ქვეყანაში არავის სჭირდება.

- რატომ, კაცო, აქ ამათ საქმეს არ ვაკეთებ?

- ასეთ შემთხვევაში საქმის კეთება მეათასე ხარისხოვანია, იმიტომ, რომ შენ აქ უკვე კონკურენტი ხარ, არა ერთი უბრალო თანამშრომელი ან ხელქვეითი, არამედ კონკურენტი, თანაც საკმაოდ სერიოზული და მოუთვინიერებელი კონკურენტი.

- რა კონკურენტი, რის კონკურენტი, ან რა მოთვინიერება, რის მოთვინიერება, მე აქ ჩემს საქმეს ვაკეთებ და არავისთან შერკინებას არ ვაპირებ. – ვამბობ გაცოცებული.

- ყველაფერთან ერთად, ძალიან ალალი ადამიანიც რომ ხარ, ამიტომაც არ არის შენი ადგილი ამათ გვერდით. არადა, იცი, ვისი კონკურენტი ხარ? ვისი და ჯონდი ბატონის. ჯონდი ბატონი კი ვინ არის? ოოო, ჯონდი ბატონი ის კაცია, ვისაც ბიძამისის სახით, ამ ქვეყანაზე უდიდესი და უმდიდრესი მფარველი ჰყავს. სანამ ბიძა ჰყავს ცოცხალი, ჯონდის ხელს ვერავინ ახლებს. ბიძამისი კი, იცი, ვინ არის? ერთი მდიდარი, მაგრამ სულწარწყმენდილი კაცი, აი, ისეთი, საჭიროების შემთხვევაში, ყველას უკანალში რომ შეძვრება და თუ დასჭირდა, სამუდამოდაც რომ დაიდებს იქ ბინას. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, შვილი მაგას აღარ დარჩა და ძირი. ისე, ჰყავდა ერთი შვილი, დაახლოებით ჯონდის ასაკისა უნდა ყოფილიყო ახლა, მაგრამ დაღუპვია ის საცოდავი. რითი

დაღუპულა, ზუსტად არ ვიცი, თუმცა, ახლა ამას მნიშვნელობა არა აქვს.

- მნიშვნელობა როგორ არა აქვს, რითი დაიღუპაო, მაინც რას ამბობენ?

- ავტოავარიაშიო, ამბობენ, მაგრამ ზოგიერთი იმასაც ამბობს, წამლის ზედმეტმა დოზამ იმსხვერპლაო. ასე რომ, შვილის სიკვდილის შემდეგ, ეს ერთი ძმის შვილიდა დარჩა კაცს. ჰოდა, ისიც ყველაფერს აკეთებს, რომ თავის ძმის შვილს გზა გაუკვალოს და ცხოვრებაში გამოიყვანოს. სტყუის, არ სტყუის, იმსახურებს, არ იმსახურებს, მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ჯონდი მისთვის ერთადერთი და შეუცვლელია. შენ კი, ხომ ხედავ, უკვე კონკურენტი გახდი, ჯონდის კონკურენტი და როგორ ფიქრობ, ძმის შვილს გადაყოლილი ბიძა, თავისსავე სამფლობელოში, შენსას გაგატანინებს?

- ჩვენი ლაპარაკი იქიდან დაიწყო, რომ წვეულებაზე არ დამპატიუეს და შენ კიდევ კონკურენციაზე გადახვედი. ეს როგორ გავიგო? – ვეკითხები ბერიკაცს.

- ჭკვიან კაცად გიცნობ და მინდა ამ სიტუაციას შენც ისე შეხედო, როგორც მე ვუყურებ. აი, მაგალითად, გუშინ აქ, რაღაც დიდი წვეულება გაუმართავთ, სადაც მთელი დიდკაცობა მოუწვევიათ. ეს უფრო გაცნობითი ხასიათის შეხვედრა იქნებოდა, შეხვედრა სუფრაზე ხელმძღვანელ პირებსა და ხელქვეითებს, ანუ მსხვილფეხობასა და წვრილფეხობას შორის. ახლა წარმოიდგინე, შენც რომ აქ ყოფილიყავი, რა მოხდებოდა?

- ჩემი აქ ყოფნით, არაფერიც არ დაშავდებოდა.

- ჰო, დაშავებით, არაფერიც არ დაშავდებოდა, მაგრამ მოხდებოდა ის, რომ ილაპარაკებდით შენც და ჯონდიც, ცენტრიდან მოსული დიდკაცობა, შენც გაგიცნობდა და ბატონ ჯონდისაც კიდევ ერთხელ ნახავდა, მოუსმენდა... ჰოდა, ყოველივე ამის შემდეგ, განა არ იფიქრებდნენ, როგორ, ეს, ანუ ჯონდი აღმასრულებელი დირექტორია და ის (ანუ შენ) ერთი რიგითი, უშტატო თანამშრომელი, რომელსაც მიზერული ხელფასიც კი არასოდეს აუღიაო?! იფიქრებდნენ, უეჭველი იფიქრებდნენ და ჯონდის საქმოსან ბიძასაც, ცოტა არ იყოს, უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდებდნენ. ამიტომ, ასე რომ არ მომხდარიყო და პრობლემებიც აერიდებინათ თავიდან, საჭირო გახდა შენი გადამალვა. აკი გადაგმალეს კიდევ, არ

გამოგაჩინეს და ვინ იხეირა ამით? რა თქმა უნდა, იმან, ვისაც ისედაც დიდი ძალაუფლება გააჩნია... და ვის გააჩნია აქ, ამ შენობაში დიდი ძალაუფლება? იმას, ვისთვისაც შენ უკვე კონკურენტი გამხდარხარ.

- მაშ, ამ ქვეყანაზე სამართალი არ ყოფილა?! - ვამბობ, უკვე აშკარად გუღდაწყვეტილი.

- სამართალი? მე მაგ სამართალს მთელი ჩემი ცხოვრება ვეძებ, მაგრამ ვერსად მიპოვნია, ხოლო ამ ძებნაში სიბერეც წამომეპარა და ხომ ხედავ, როგორ მოვტყედი. ადრე, წლების წინ, ჯერ კიდევ ჯანი რომ მქონდა და ჭკუაც, ასე თუ ისე მიჭრიდა, ერთ-ერთ სავაჭრო ობიექტზე საპასუხისმგებლო თანამდებობაზე ვმუშაობდი. თანაც ვმუშაობდი პატიოსნად, რომ იტყვიან – ხელფასზე. ამის გამო, ოჯახშიცა და სანათესაოშიც სულ მუდამ მსაყვედურობდნენ, ცოტა ფხა გამოიჩინე და ცხოვრებისეული კაცი გახდიო. გესმის, ძამიკო, რას მთხოვდნენ?! ცხოვრებისეული კაცი გახდი, ანუ ცოტა მოიპარე ხოლმეო. ასე მეჩინებოდნენ, მაგრამ ხომ გაგიგია, შეაყარე კედელს ცერცვიო, ჩემი საქმეც მასე იყო, რადგან ჩემგან, თუნდაც მცირედის მომპარავი კაცი, არა და არ გამოვიდა. ჰოდა, იმას გიყვებოდი, ერთ-ერთ სავაჭრო ობიექტზე საპასუხისმგებლო თანამდებობაზე ვმუშაობდი – მეთქი. ვმუშაობდი ისე, როგორც მე მხევეია და მწამს; მიჭირდა თუ მილხინდა, არავისი არაფერი არ უნდა მიმეთვისებინა, მაგრამ მოგეხსენება, ყველა ამგვარი წესით ხომ არ ცხოვრობს?! არ ცხოვრობს და რა გასაკვირია, რომ გამონაკლისი არც ჩვენი დირექტორი იქნებოდა... დირექტორი, რომელსაც ერთ უბედურ დღეს, ზემდგომ ორგანოში მოკალათებული მფარველი მოუხსნეს. მერე ამას ისიც დაემატა, რომ დირექტორმა იქ, ზემოთ იმდენი არ გადაიხადა, რამდენიც უნდა გადაეხადა და შედეგად, მფარველის გარეშე დარჩენილის ჯერ გაფუჭება, შემდეგ კი, მისი სამუდამოდ მოშორება გადაწყვიტეს. ამაზე ადვილი რა იყო, ჩაუსაფრდნენ, ჩაუჯდნენ, დაუთვალეს ყველაფერი და ისე გაუხადეს საქმე, აქეთ ისევეწებოდა, ოღონდ პასუხისმგებლობაში არ მიმცეთ და რაც აქ მომიპარავს, ორმაგად დავაბრუნებო. არაფერმა გაჭრა, მაინც დაადეს ხელბორკილები და დაიჭირეს. არადა, აშკარა იყო, რომ დაიჭირეს არა კორუმპირებულობისათვის, არამედ იმიტომ, რომ მფარველი აღარ ჰყავდა და ეს ბრიყვიც, უცებ ვერ გაერკვა, მარტოდ

დარჩენილს, ზემდგომ ორგანოებში, ვისთვის რამდენი უნდა გადაეხადა. ბევრი რომ არ გავაგრძელო, ზედა ეშელონებში ატყდა ერთი ამბავი, სიხარული, ყიჟინა და ქუდების ჰაერში აყრა, კორუმპირებული დირექტორი დავიჭირეთო. ამ სიხარულნარევ ყიჟინაში დანიშნეს ახალი დირექტორი... გავიდა ერთი თვე, ორი თვე, სამი თვე, ეიფორია კი არ წყდება, ნახეთ, რა ყოჩაღები ვართ, კორუფცია როგორ გავაკარით ბეჭჯეო. მე ისევ ერთ-ერთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე ვარ, ვმუშაობ ისე, როგორც მანამდე ვმუშაობდი, არ ვიპარავ ისე, როგორც მანამდე არ ვიპარავდი და ვცხოვრობ ისე, როგორც მანამდე ვცხოვრობდი. ახალ დირექტორს რაც შეეხება, მუშაობს ისე, როგორც ძველი დირექტორი მუშაობდა, იპარავს ისე, როგორც ძველი დირექტორი იპარავდა და ცხოვრობს ისე, როგორც ძველი დირექტორი ცხოვრობდა. ხოლო ეიფორია, როგორც მოგახსენე, გრძელდება და გრძელდება. ისინი ხარობენ, მე კვლავაც მიძიმედ მიფუყვები ჩემი ბედ-შავი ცხოვრების ეკლიან აღმართს. იმ დროს, როცა ეიფორიამოდებული ადამიანები, ლამისაა ფსიქიატრიულის პაციენტებს დაემსგავსნონ, ჩემთან შენი კოლეგები მოდიან, კორესპონდენტებს რომ ეძახიან, აი, ისინი და სახეგაბრწყინებულნი მეკითხებიან, თავს როგორ გრძნობთო? შემოდგომის კვალობაზე (შემოდგომით ხდებოდა ეს ამბავი) ნაადრევად აგვიცივდა, მე კი სიცივეს ვერ ვიტან და, აბა, როგორ ვიქნები – მეთქი, ვპასუხობ მე. არა, მაგას არ გეკითხებით, საერთოდ, ბედნიერი ადამიანი თუ ხართო? დამიზუსტეს კითხვა. არ გაგიკვირდეთ და მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე, ერთი დღეც არ ვყოფილვარ ბედნიერი – მეთქი, რომ ვუპასუხე, იმათ გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. როგორ, ახლა მაინც, როდესაც ხელმძღვანელობა შეგეცვალათ, ნუთუ, ცხოვრებაში უკეთესობა არ იგრძენით და ბედნიერი არ ხართო? ბედნიერი მაშინ ვიქნები, როდესაც ჩემი პატიოსანი ხელფასით, და არა მაქინაცობით, საკუთარი ოჯახის რჩენას თავისუფლად შევძლებ, თორემ ასე, ზემოთ რა გადაადგილებებიც არ უნდა მოხდეს, ანუ ვინ წავა და ვინ მოვა, ამას ჩემთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან პირადად ჩემთვის უკეთესობისკენ არაფერი იცვლება – მეთქი, ვუპასუხე მე. ის ოხერი შენი კოლეგები, მაინც არ მეშვებიან: მაშინ, როცა მთელი თქვენი კოლექტივი ბედნიერია,

წარმოუდგენელია, რომ პირადად თქვენ ამ ბედნიერებას არ იზიარებთო. ეჰ, რა მეთქვა, ან როგორ მეთქვა, ბედნიერი ვარო, როდესაც გული უამრავი პრობლემით მქონდა დამძიმებული. მოკლედ, რამდენიმე დღეში მიბარებენ ზემდგომ ორგანოში და მსაყვედურობენ. მაშინ, როდესაც ყველა თქვენი თანამშრომელი გულმხურვალედ უჭერს მხარს თქვენს კოლექტივში მომხდარ საკადრო ცვლილებას, საინტერესოა, პირადად თქვენ, რატომ არ იზიარებთ საერთო აღტაცებას და რატომ არ თვლით თავს ბედნიერ ადამიანად? ვუსხნი, რომ გულმა და ცხოვრებამ თუ არ მიკარნახა, ენას რა უფლება აქვს ბედნიერებაზე ილაპარაკოს. ესეც რომ არა, უამრავი დირექტორი გამოვიცვალე, ბევრი რამ გადამხდენია თავს, ბევრი მინახავს, მაგრამ ბედნიერებას რაც შეეხება, არ ჩამქოლოთ და, ამ უკუღმართ ქვეყანაში, ჯერ არ შემხვედრია – მეთქი.

- არ გაპატიებდნენ, - ვამბობ მე და ელექტროგამათბობელის მოშორებით, მეორე სკამზე ვჯდები.

- რა თქმა უნდა, არ მაპატიეს. თქვენაო, ისე მიგყავთ საქმე, რომ თუ გონზე არ მოხვედით, დღევანდელი დირექტორი თქვენს კარიერაში, უკანასკნელი დირექტორი იქნებო. მოკლედ, შევლაპარაკდით, არც მე და ვუთმე რამე (ან რა მქონდა დასათმობი, არ მესმის) და იმათმა ხომ არ დათმეს და არა. ბევრი რომ არ გაგაგრძელო, სამსახურიდან გამათავისუფლეს მხოლოდ იმის გამო, რომ ახალი ხელმძღვანელის მოსვლას, სხვებივით ფერადი ბუშტებით ხელში არ შეგხვდი და მთელ ქვეყანას ენის მოხლეჩით არ ვამცნე, რომ ჩვენს ცხოვრებაში უბედნიერესი ერა დაწყებულია. ჰოდა, ამის შემდეგ, მოდი, ძამიკო და გაიგე, სად არის სამართალი... ბედნიერებაზე ხომ საერთოდ, აღარ მაქვს ლაპარაკი.

ბერიკაცი ჩერდება და ცოტა ხნით ხმისამოუღებლად ვსხედვართ. მას ხელები უკანკალებს, სახეზე კი ნაკვთები ისე უთამაშებს, აშკარად ეტყობა, ნერვიულობს და ძალიან ცუდ მოგონებებშია გადავარდნილი.

დუმილს მე ვარდევვ და ვეკითხები: - ახლა მე რა ვქნა?

- შენ? – თითქოს გამოფხიზლდაო, ისე მპასუხობს, - შენ ახლა უნდა ადგე და წახვიდე.

- სად? – ვეკითხები გაოცებული.

- არ ვიცი! სადაც გინდა, იქ წადი; გინდა სახლში, გინდა ეკლესიაში, გინდა მამის საფლავზე, გინდა მეგობართან, გინდა რესტორანში, გინდა სტადიონზე და გინდა ოპერაში. მთავარია, უნდა ადგე და აქედან წახვიდე. შენ ჭკვიანი ადამიანი ხარ და მერწმუნე, აქ, ამ არამზადებში მომავალი არ გექნება, გამოიწურები, მაგრამ სანაცვლოდ ვერაფერს მიიღებ... ხოლო, რასაც მიიღებ, გულისტკივილი და შეურაცხყოფა იქნება, იმიტომ, რომ შენ ჭკვიანი ადამიანი ხარ. შენ რომ ამათნაირი სულები იყო, მაშინ პრობლემაც არ გექნებოდა და სულ მუდამ, ჯონდის გვერდით, გამოსაჩენ ადგილას დაგსვამდნენ. დიახ, სულ მუდამ ჯონდის გვერდით დაგსვამდნენ, იმიტომ, რომ შენ გვერდით ჯონდი ჭკვიან კაცად გამოჩნდებოდა... და დღეს, იმიტომ არ დაგსვამენ ჯონდის გვერდით, რომ ეშინიათ, შენს ფონზე ჯონდი სულელ და თანამდებობისთვის აშკარად შეუფერებელ კაცად არ გამოჩნდეს. მე მგონი, მიმიხვდი, რასაც გეუბნები. ახლა ადექი და წადი. ოღონდ წადი ისე, როგორც მოსულხარ, აქ შენ არაფერი მოგიტანია და წაღებითაც ვერაფერს წაიღებ. არც არავის მოუყვანიხარ, რომ ვინმეს რაიმე შესწივლო და შენი დაცვა სთხოვო. სხვა შემთხვევაში გეტყოდი, ესენი შენს ფასს მერე გაიგებენ – მეთქი, მაგრამ ახლა გეუბნები, ამათმა შენი ფასი რომ იციან, ამიტომაც არ მიგაღწევიანებენ აქ არაფერს და შენც აქაურობას უნდა გაერიდო. წადი, ძამიკო, წადი, ოღონდ აქედან არა, უკვე სამუშაო საათები დაიწყო და გზაში შეგეფეთებიან. იქიდან წადი... გახვალ თუ არა კარიდან, ხელმარჯვნივ ჩაუხვიე, იმ გრძლად გათხრილ ორმოს გადაახტი და უკვე გზაზე იქნები გასული. აბა, კარგად იყავი, მთავარია, გული არ გაიტეხო, იქნებ ოდესმე ამ ქვეყანაზე ჩვენი დროც დადგეს. თუ არ დადგება და ათწლეულების ან ასწლეულების შემდეგ მაინც ხომ გაგვისხენებენ, როგორც პატიოსანსა და ღირსეულ ადამიანებს. შეიძლება ჩვენზე წიგნიც დაწერონ, მაგალითად, იყო და არა იყო რა, ამ ქვეყანაზე ცხოვრობდა ორი პატიოსანი ადამიანი, რომელთაც ვერაფერს უგებდა და არავინ აფასებდაო... რა ცხვირი ჩამოგიშვია, არაფერია, ესეც გადაგვივლის, ამაზე უარესებიც გადაგვიტანია. ჩემი ნახვა თუ მოუხინდეს, კი იცი შენ, მე სადაც ვცხოვრობ, აქვე, ნადიკვარზე. ჩემი ტელეფონიც იცი, ამოდი ხოლმე ჩემთან და ვილაპარაკოთ, ოღონდ აქ არა, აქ არ მნახო, სახლში მნახე ან მე მოგაკითხავ ხოლმე... და ასე

გავაგრძელოთ, ვიდრე რომელიმე ჩვენგანის ამქვეყნიურ აღსასრულამდე.

* * *

აღბათ გაინტერესებთ, მერე რა მოხდა?!

მერე მოხდა ის, რომ ბერიკაცთან დამშვიდობების შემდეგ გამოვედი შენობიდან, ჩაუხვიე მარჯვნივ, გრძლად გათხრილ ორმოს გადავახტი და ნაცნობ გზასაც დავადექი...

ეჰ, უმჯობესი იქნებოდა, მრავალჯერ გატკეპნილ ნაცნობ გზას, ამჯერად მაინც, უფრო ამაღლებული განწყობით დავდგომოდი, მაგრამ, დამეთანხმებით, ამ უკუღმართ ცხოვრებაში ყველაფერი ისე როდია მოწყობილი, ჩვენ რომ გვსურს და ვოცნებობთ.

მივდიოდი და ვფიქრობდი:

მართლა, რა ბრძენი მეგობარი მყოლია. ხომ მეუბნებოდა, რომ აქ ადამიანური ურთიერთობების დეფიციტია და ამიტომაც ძნელია ცხოვრებაო. ხოლო, როცა ყოველივე ამას საკუთარ თავზე გამოცდი, მერე გამიხსენებ და დამაფასებო. მეც გამოვცადე და ჩემი ბავშვობის უერთგულესი მეგობარი, კიდევ უფრო მეტად დავაფასე.

ისე, განა არ ვიცოდი, ჩემი მეგობარი, სრულ სიმართლეს რომ ამბობდა? ვიცოდი, თანაც ძალიან კარგად. ბოლოს და ბოლოს, ციდან ჩამოფრენილი არც მე ვარ და მეც ამ უკუღმართ საზოგადოებაში მაქვს მთელი ჩემი ცხოვრება გატარებული. უბრალოდ, გულის სიდრმეთა კუთხე-კუნჭულში, სულ მცირეოდენი იმედი მაინც მქონდა ჩარჩენილი, რომ იქნებ მოხდეს სასწაული და ადამიანებში ჩავარდნილმა თავი ადამიანურად ვიგრძნო – მეთქი. მაგრამ ვერა, ვერ ვიგრძენი. ის კი არა, ის პატარა იმედიც, გულის სიდრმეთა კუთხე-კუნჭულში რომ მქონდა ჩარჩენილი, სულ მთლად გამიცამტკერდა და ნაცარტუტად მექცა.

და მაინც, კონკრეტულად იმ უცხო გარემოში გატარებული სამი თვე, რა იყო ჩემთვის? აღბათ, მწარე ცხოვრებისეული გამოცდილება და მეტი არაფერი. ან სხვა რა

უნდა ყოფილიყო, როდესაც ადამიანებში მოხვედრილს, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ადამიანებთან ურთიერთობა მენატრებოდა?!

გამოდის, რომ ვიყავი ხალხში, მაგრამ, არა – ადამიანებში.

ეს იგივეა, ოკეანის თვალუწვედნელ სივრცეში ჩაკარგული, წყურვილით კვდებოდე.

სამწუხაროდ, ჩვენი უბედურება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ წმინდა ადამიანური ურთიერთობების მაძიებელთათვის, ხალხის მასა, ხანდახან, შეიძლება ისეთივე გამოუსადეგარ ბრბოდ იქცეს, როგორი გამოუსადეგარიც, მაგალითად, წყურვილით შეწუხებული კაცისთვის ოკეანის მლაშე და დაბინძურებული წყალია.